MES 2 23 0000479741

02/05/2023

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს
სხდომის ოქმი

ქ. თბილისი
სხდომის თარიღი: 18.04.2023
სხდომის დაწყების დრო: 14:00 სთ
სხდომის დასრულების დრო: 17:19 სთ
საბჭოს თავმჯდომარე: გოდერძი ბუჩაშვილი
საბჭოს მდივანი: რატი რატიანი

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების" (შემდეგში-აკრედიტაციის დებულება) 27^2-ე მუხლის მე-13 პუნქტის საფუძველზე საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს სხდომა ჩატარდა დისტანციურად, კომუნიკაციის თანამედროვე ელექტრონული საშუალებების, პროგრამა - Zoom-ის გამოყენებით.

საბჭოს სხდომაში მონაწილე ყველა პირმა თანხმობა განაცხადა, რომ დისტანციური ფორმით მიეღო მონაწილეობა საბჭოს მუშაობის პროცესში. საბჭოს სხდომაში მონაწილე ყველა პირმა თანხმობა განაცხადა, რომ დისტანციური ფორმით მიეღო მონაწილეობა საბჭოს მუშაობის პროცესში.

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის (შემდგომში საბჭო) სხდომაზე დამსწრე წევრები:

1. **გოდერძი ბუჩაშვილი** - შპს „საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი სეუ-ს" ვიცე-რექტორი ადმინისტრაციული მიმართულებით, პროფესორი - **საბჭოს თავმჯდომარე;**
2. **რატი რატიანი** - შპს „გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის" საჯარო მმართველობისა და პოლიტიკის სკოლის დოქტორანტი - **საბჭოს მდივანი;**
3. **ირინე ებრალიძე -** სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მუსიკის ცენტრის ჯაზის ხელოვნების მიმართულების ხელმძღვანელი, ასოცირებული პროფესორი;
4. **ქეთევან ზურაშვილი -** სსიპ - ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის ხარისხის განვითარების სამმართველოს მთავარი სპეციალისტი;
5. **ხათუნა თოდაძე -** სსიპ - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ვიცე-რექტორი აკადემიური მიმართულებით, ნარკოლოგიის დეპარტამენტის უფროსი;

6. **მარინე მაისურაძე -** სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის არქიტექტურის, ურბანისტიკისა და დიზაინის ფაკულტეტის დეპარტამენტის უფროსი, პროფესორი;
7. **ერმილე მესხია -** სსიპ - ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტის განათლების, ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანი, პროფესორი;
8. **ლევან ნიკოლეიშვილი** - სსიპ - დავით აღმაშენებლის სახელობის ეროვნული თავდაცვის აკადემიის მაგისტრატურის უსაფრთხოების კვლევების მიმართულების პროფესორი;
9. **თამარ სირაძე** - სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის მოადგილე, პროფესორი;
10. **მარინა ქავთარაძე -** სსიპ - თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის მუსიკის ისტორიის მიმართულების ხელმძღვანელი, პროფესორი;
11. **ქეთევან ქუთათელაძე -** სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ენერგეტიკის ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი, პროფესორი;
12. **ნინო ღაღანიძე** - სსიპ - თბილისის აპოლონ ქუთათელაძის სახელობის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი, პროფესორი;
13. **ლაშა ჩხარტიშვილი** - სსიპ - საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი, ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორი;
14. **თინათინ ჭაბუკიანი -** სსიპ - საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის სასწავლო ტელევიზიის პროდიუსერი, ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორი;
15. **გურანდა ჭელიძე -** შპს კავკასიის უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებათა სკოლის აფილირებული პროფესორი;
16. **ნინო ჭალაგანიძე -** შპს „კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის“ მულტიმედია ცენტრის ხელმძღვანელი, კანცლერის მრჩეველი, სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის ჟურნალისტიკისა და მასობრივი კომუნიკაციის მიმარულების ასოცირებული პროფესორი;
17. **მამუკა ხუსკივაძე -** სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ტურიზმის სკოლის დირექტორის მოადგილე, ასოცირებული პროფესორი.

სხდომაზე დამსწრე პირები

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში - ცენტრი) წარმომადგენლები:

N	სახელი, გვარი	სტატუსი
1	**ქრისტინე აბულაძე**	უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი
2	**ლალი ოდიშვილი**	უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის კოორდინატორი
3	**ნანა მიქავა**	უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის სპეციალისტი

საგანმანათლებლო დაწესებულების წარმომადგენლები:

N	სახელი, გვარი	დაწესებულება	პოზიცია	საკითხი

1	დავით მახვილაძე	სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი	სტუ-ის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი	I, II, III
2	ხათუნა მხეიძე	სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი	სტუ-ის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელის მოადგილე.	I, II, III
3	ანზორ აფშილავა	სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი	სტუ-ის სამთო - გეოლოგიური ფაკულტეტის დეკანი	I, II, III
4	ნოე ხოზრევანიძე	სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი	სტუ-ის მთის მდგრადი განვითარების ფაკულტეტის დეკანი	I, II, III
5	შალვა კელეპტრიშვილი	სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი	სტუ-ის სამთო - გეოლოგიური ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი	I, II, III
6	ნინო რატიანი	სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი	სტუ-ის "საინჟინრო უსაფრთხოების და საგანგებო სიტუაციების მართვის“ დეპარტამენტის ხელმძღვანელი.	I, II, III
7	ლუცინდა ჩხეიძე	სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი	"საინჟინრო უსაფრთხოება და საგანგებო სიტუაციების მართვის" ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი, პროფესორი	I, II, III
8	თეიმურაზ ბარაბაძე	სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი	„ნავთობისა და გაზის ტექნოლოგიების“ მაგისტრატურის რუსულენოვანი საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი, პროფესორი.	I, II, III
9	რობერტ დიაკონიძე	სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი	„ბუნებრივი საფრთხეების, მდგრადი გარემოს და დაცვის“ ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი.	I, II, III
10	ნანა ახალაია	სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი	სტუ-ის მთის მდგრადი განვითარების ფაკულტეტის უზრუნველყოფის სამსახურის პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი.	I, II, III

11	კობა კობალაძე	სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი	ასოცირებული პროფესორი	I, II, III
12	ნინო მებონია	სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი	ასისტენტ პროფესორი.	I, II, III
13	ნინო ჟვანია	სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი	ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი	IV
14	მაია ბიწაძე	სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი	ბიზნესის, ტექნოლოგიის და განათლების ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის მოვალეობის შემსრულებელი, ასოცირებული პროფესორი	IV
15	ვახტანგ ბალავაძე	სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი	ბიზნესის, ტექნოლოგიის და განათლების ფაკულეტეტის, ტექნოლოგიის სკოლის დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი, პროფესორი	IV
16	ვახტანგ კასრელიშვილი	სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი	არქიტექტურა (ძირითადი სპეციალობა) პროგრამის ხელმძღვანელი, ასისტენტ-პროფესორი	IV
17	ია კუპატაძე	სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი	ასოცირებული პროფესორი არქიტექტურის მიმართულებით	IV
18	მარიამ მაჭავარიანი	სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი	ბიზნესის, ტექნოლოგიის და განათლების ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის სპეციალისტი	IV
19	სალომე დუნდუა	სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი	ასოცირებული პროფესორი - ფაკულტეტის დეკანი	V, VI
20	ფიქრია ასანიშვილი	სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი	ასოცირებული პროფესორი - დიპლომატია და საერთაშორისო პოლიტიკის სამაგისტრო პროგრამის ხელ-ი;	V, VI
21	მედეა ბადაშვილი	სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი	ასოცირებული პროფესორი - გენდერის კვლევის სამაგისტრო პროგრამის ხელმძღვანელი	V, VI
22	რევაზ ჯორბენაძე	სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი	პროფესორი - ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი;	V, VI
23	მარეხ დევიძე			V, VI

		სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი	ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის მოადგილე	
24	მარიამ მსხალაია	სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი	ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წამყვანი სპეციალისტი	V, VI
25	ნინო ქიმერიძე	სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი	ასოცირებული პროფესორი, თსუ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის აკრედიტაციის, კვლევებისა და შეფასების განყოფილების უფროსი	V, VI
26	შოთა ფოთოლაშვილი	სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი	უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური უფროსი	V, VI
27	ზაზა რუხაძე	შპს ქართულ-ამერიკული უნივერსიტეტი	უნივერსიტეტის ვიცე-პრეზიდენტი სასწავლო-სამეცნიერო და ხარისხის უზრუნველყოფის დარგში	VII
28	ქეთევან ჯინჭარაძე	შპს ქართულ-ამერიკული უნივერსიტეტი	ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი	VII
29	მირიან ყენია	შპს ქართულ-ამერიკული უნივერსიტეტი	პროგრამის ხელმძღვანელი;	VII
30	ნინა კარბელაშვილი	შპს ქართულ-ამერიკული უნივერსიტეტი	პროფესორი	VII
31		შპს ქართულ-ამერიკული უნივერსიტეტი	ასოცირებული პროფესორი	VII

აკრედიტაციისექსპერტები

N	სახელი,გვარი	ინფორმაცია ელექტრონული საშუალებით მონაწილეობის შესახებ	საკითხი
1	ციცინო თურქაძე	(ჩაერთო „ზუმით“)	I
2	მამუკა ბენაშვილი	(ჩაერთო „ზუმით“)	I
3	თეა გიორგაძე	(ჩაერთო „ზუმით“)	I
4	თამარ დოლიძე	(ჩაერთო „ზუმით“)	I
5	ქრისტინე ჩიხლაძე	(ჩაერთო „ზუმით“)	I
6	ნინო ჯავახიშვილი	(ჩაერთო „ზუმით“)	I

7	ნინო დონდოლაძე	(ჩაერთო „ზუმით“)	II
8	ვაჟა ტრაპაიძე	(ჩაერთო „ზუმით“)	III
9	კონსტანტინე ხაჭაპურიძე	(ჩაერთო „ზუმით“)	III
10	გიორგი წანაწყენიშვილი	(ჩაერთო „ზუმით“)	IV
11	ნინო ხაბეიშვილი	(ჩაერთო „ზუმით“)	IV
12	ირაკლი გორგილაძე	(ჩაერთო „ზუმით“)	V
13	ელენე გავაშელიშვილი	(ჩაერთო „ზუმით“)	VI
14	მარინე ხიზანიშვილი	(ჩაერთო „ზუმით“)	VII

აკრედიტაციის დებულების 27^2-ე მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე, სხდომას უხელმძღვანელა საბჭოს თავმჯდომარემ გოდერძი ბუჩაშვილმა.
საბჭოს თავმჯდომარემ შეამოწმა სხდომაზე დამსწრე საბჭოს წევრთა რაოდენობა და დაადგინა, რომ აკრედიტაციის დებულების 27^2-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, სხდომა უფლებამოსილია, რადგან მას ესწრება საბჭოს წევრების სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი. თავჯდომარემ საბჭოს წევრებს მიუთითა აკრედიტაციის დებულების 27^5-ე მუხლის მე-4 პუნქტის მოთხოვნაზე, რომლის მიხედვითაც, საბჭოს წევრი არ არის უფლებამოსილი, თავი შეიკავოს ხმის მიცემისგან.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს გააცნო დღის წესრიგის პროექტი:
1. სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის "საინჟინრო უსაფრთხოება და საგანგებო სიტუაციების მართვის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხი;
2. სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის "ნავთობის და გაზის ტექნოლოგიების" რუსულენოვანი სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამასთან დაკავშირებით საბჭოს რეკომენდაციების შესრულების თაობაზე ანგარიში;
3. სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის "ბუნებრივი საფრთხეები, მდგრადი გარემო და დაცვის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე განხორციელებული გეგმური მონიტორინგის შედეგების განხილვა;
4. სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის "არქიტექტურის (ძირითადი სპეციალობა) საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე განხორციელებული არაგეგმიური მონიტორინგის შედეგების განხილვა;
5. სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის "დიპლომატია და საერთაშორისო პოლიტიკის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამასთან დაკავშირებით საბჭოს რეკომენდაციების შესრულების თაობაზე წარმოდგენილი ანგარიშის განხილვა;
6. სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის "გენდერის კვლევის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამასთან დაკავშირებით საბჭოს რეკომენდაციების შესრულების თაობაზე წარმოდგენილი ანგარიშის განხილვა.
7. შპს ქართულ-ამერიკული უნივერსიტეტი "მედიაპროდუქციისა და ვიზუალური მეთოდები დიზაინში" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამასთან დაკავშირებით საბჭოს რეკომენდაციების შესრულების თაობაზე ანგარიშის განხილვა.

შუამდგომლობა დღის წესრიგის ცვლილებასთან დაკავშირებით
- არა

დამტკიცებული დღის წესრიგი:
1. სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის "საინჟინრო უსაფრთხოება და საგანგებო სიტუაციების მართვის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხი;
2. სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის "ნავთობის და გაზის ტექნოლოგიების" რუსულენოვანი სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამასთან დაკავშირებით საბჭოს რეკომენდაციების შესრულების თაობაზე ანგარიში;
3. სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის "ბუნებრივი საფრთხეები, მდგრადი გარემო და დაცვის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე განხორციელებული გეგმური მონიტორინგის შედეგების განხილვა;
4. სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის "არქიტექტურის (ძირითადი სპეციალობა) საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე განხორციელებული არაგეგმიური მონიტორინგის შედეგების განხილვა;
5. სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის "დიპლომატია და საერთაშორისო პოლიტიკის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამასთან დაკავშირებით საბჭოს რეკომენდაციების შესრულების თაობაზე წარმოდგენილი ანგარიშის განხილვა;
6. სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის "გენდერის კვლევის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამასთან დაკავშირებით საბჭოს რეკომენდაციების შესრულების თაობაზე წარმოდგენილი ანგარიშის განხილვა.
7. შპს ქართულ-ამერიკული უნივერსიტეტი "მედიაპროდუქციისა და ვიზუალური მეთოდები დიზაინში" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამასთან დაკავშირებით საბჭოს რეკომენდაციების შესრულების თაობაზე ანგარიშის განხილვა.

პირველი საკითხი. სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის "საინჟინრო უსაფრთხოება და საგანგებო სიტუაციების მართვის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხი;

№	ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	საინჟინრო უსაფრთხოება და საგანგებო სიტუაციების მართვა
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	-
3	სტატუსი	აკრედიტებული
4	სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	22.06.2021, № 616091
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	საინჟინრო უსაფრთხოება და საგანგებო სიტუაციების მართვა
6	უმაღლესი განათლების საფეხური	ბაკალავრიატი
7	დაშვების წინაპირობები	-
8	კვალიფიკაციის დონე	მე - 6
9	კვალიფიკაციის დასახელება	პროფესიული უსაფრთხოების ბაკალავრი
10	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	-
11		

	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)	1022 - პროფესიული ჯანმრთელობა და უსაფრთხოება
12	სწავლების ენა	ქართული
13	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	240
14	განხორციელების ადგილი	მ. კოსტავას ქ., № 77 თბილისი, სასწავლო კორპუსი №3, 0160, საქართველო
15	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა - სწავლების უფლებამოსილება	-

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება
√ არა

საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება
√ დიახ
თვითაცილება განაცხადეს მარინე მაისურაძემ და ქეთევან ქუთათელაძემ. თვითაცილების საფუძველს წარმოადგენდა შრომითი ურთიერთობა დაწესებულებასთან.
საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და საგანმანათლებლო პროგრამის ექსპერტთა დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.
საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ)ა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

პირველი საკითხის ზეპირი მოსმენა
ექსპერტების პოზიციის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტთა ჯგუფს წარმოედგინათ მათი პოზიცია.
ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე მიესალმა დამსწრე საზოგადოებას და აღნიშნა რომ ვიზიტი განხორციელდა 24 თებერვალს. ექსპერტთა ჯგუფის მიერ პროგრამა შემდეგნაირად შეფასდა: პირველი სტანდარტი მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან, რაც განპირობებულია იმით, რომ პირველი და მე-2 კომპონენტი შესაბამისობაშია მოთხოვნებთან, ხოლო დანარჩენი სამი კომპონენტი პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი, საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი და სასწავლო კურსი/საგანი მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან. შესაბამისად გაცემული რეკომენდაციებიდან პირველი ეხება სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმს. დაწესებულებას შემუშავებული აქვს მექანიზმი, იყენებს 4 წლიან ციკლს, თუმცა მოცემულ პროგრამას ჰქონდა 4 წლიანი პირობითი აკრედიტაცია 2021 წლისთვის, შესაბამისად ამ კუთხით 2 წლის შემდეგ ახალი პროგრამა იქნა წარმოდგენილი განახლებული, მოდერნიზებული სახით. პროგრამას თან ახლდა ორ წლიანი შეფასება, რომელიც ასახავდა თუ როგორ მიმდინარეობდა შიდა მექანიზმები პროგრამის სწავლის შედეგების კუთხით. გარკვეულმა პირებმა, რომლებსაც ეხებოდა ორ წლიანი შეფასება ნაკლები ინფორმაცია ჰქონდათ ამ საკითხზე, ასევე ამ ორ წლიან პერიოდში იკვეთება საკითხები, რომლისთვისაც მეტი ყურადღება უნდა ყოფილიყო მიქცეული შიდა პატარა ციკლებით, მხოლოდ დიდ ციკლთან დაკავშირებულ შეფასებას არ უნდა ეყრდნობოდეს სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი. შესაბამისად რეკომენდებულია პროგრამის სწავლის

შედეგების შეფასების პროცესში მონაცემების დამუშავება და ანალიზი განხორციელდეს კრიტიკული საკითხებისა და გასაუმჯობესებელი მხარეების იდენტიფიცირებაზე ორიენტირებულობით, რაოდენობრივი და თვისობრივი მეთოდების კომბინაციით, ამასთან, დაინერგოს პრაქტიკა, რომლის მიხედვითაც პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების ანალიზი ეცნობება პერსონალსა და სტუდენტებს შეხვედრების, ელექტრონული კომუნიკაციისა და სხვა გზების გამოყენებით. მეორე რეკომენდაცია ეხება საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურას და შინაარსს. კერძოდ, ერთ-ერთი სასწავლო კურსის საინჟინრო გრაფიკის დამატებას. ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ განიხილა მესამე რეკომენდაცია, რომელიც ეხება პროგრამაში შემავალი ორ სასწავლო კურსს „საწარმოო ავარიები და კატასტროფები“და „საწარმოო სანიტარია“, მათი შინაარსის და სწავლის შედეგების განაცხადიდან გამომდინარე, პროგრამაში ეს სასწავლო კურსები გრადაციით გვხვდება, როგორც ერთი ანუ გაცნობითი ხასიათის, თუმცა დასკვნაშიც არის წარმოდგენილი ამ სასწავლო კურსების შინაარსი, ძალიან კომპლექსურია და არ გადის პირველი გაცნობითი დონიდან, შესაბამისად, რეკომენდაცია გულისხმობს გადაიხედოს ეს სასწავლო კურსები მათი წინაპირობების, ლოგიკურობისა და თანმიმდევრულობის გათვალისწინებით. რაც შეეხება მესამე კომპონენტს, სასწავლო კურსი/საგანი, პროგრამაში გამოიყენება საკურსო სამუშაოები მნიშვნელოვანი წილით და არ ახლავს დაწვრილებითი ინფორმაცია თუ როგორ უნდა შედგეს ეს საკურსო ნაშრომები ინსტრუქციების სახით, აკადემიური წერის სტილი, ციტირების სტილი და ა.შ შესაბამისად , რეკომენდებულია საკურსო სამუშაოსა და საბაკალავრო ნაშრომების ხარისხიანად შესრულების მიზნით შემუშავდეს და პრაქტიკაში დაინერგოს საკურსო სამუშაოსა და საბაკალავრო ნაშრომის შესრულებისა და წარდგენის ზუსტი ინსტრუქციები, რომელშიც ასახული იქნება მოთხოვნები ნაშრომის შინაარსის, ფორმატის, აკადემიური წერის სტილისა და ციტირების წესების შესახებ. ამ კუთხით უნივერსიტეტს შემუშავებული აქვს გარკვეული დოკუმენტები და მოთხოვნები, თუმცა პროგრამის ფარგლებში სილაბუსებში ამის გაცხადება და ზუსტი ინსტრუქციების ასახვა წარმოადგენს ამ რეკომენდაციის შინაარსს.

მე-5 რეკომენდაციის მიხედვით, სასწავლო კურსებში უნდა გაძლიერდეს პროფესიული ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების სფეროში არსებული საერთაშორისო სტანდარტებისა და რეგულაციების სწავლება (მათ შორის სასწავლო ლიტერატურის განახლებით), ასევე თანამედროვე მზომი ხელსაწყოების გამოყენების სპეციფიკის, გაზომვების განხორციელებისა და დოკუმენტირების საკითხების სწავლება. რაც შეეხება მე-2 სტანდარტს იგი შესაბამისია მოთხოვნებთან, ამ სტანდარტის ოთხ კომპონენტში მხოლოდ ერთი კომპონენტია მეტწილად შესაბამისი მოთხოვნებთან, კერძოდ სტუდენტის შეფასება, აღნიშნული რეკომენდაციის თანახმად უნდა *მოდერნიზდეს* საბაკალავრო კვლევითი პროექტის/ნაშრომის შეფასებისათვის დადგენილი საუნივერსიტეტო რეგულაცია შეფასების მიდგომების გაუმჯობესების გზით, რაც უზრუნველყოფს პროგრამაში უფრო ლოგიკურ, სანდო და *გამჭირვალე* შეფასების მიდგომების გამოყენებას, შესაბამისად, გაუმჯობესდეს სტუდენტის შეფასების მიდგომები პროგრამის სწავლის შედეგების მაფორმირებელ ძირითად სასწავლო კურსებში - “საწარმოო პრაქტიკა შრომის უსაფრთხოებაში” და “საბაკალავრო ნაშრომი შრომის უსაფრთხოებაში”. აღნიშნულ რეკომენდაციას განაპირობებს ის, რომ საუნივერსიტეტო პრაქტიკაში არსებობს რეგულაცია, რომელიც ამ კომპონენტებში ადგენს გარკვეულ შეფასების პროცედურებს და ქულებს, მაგალითად საბაკალავრო ნაშრომის წესში წერია, რომ გამოიყენება სკალირებული ქულა რომელიც მიიღება 5 ქულიანი შეფასების კრიტერიუმების ნამრავლით 6-ზე შესაბამისად 30 ქულა ასე დგება, ამ 30 ქულიდან ზღვრული მინიმალური დადებითი შეფასება არის 15 ქულა, რაც ნიშნავს რომ ბიჯი არის 6 ქულიანი ამ შეფასებაში, ეს ნიშნავს იმას რომ 15 ქულა ვერასდროს იქნება საბაკალავრო ნაშრომის შეფასებაში მიღებული 30-*დან*. ეს იქნება 6-ის ჯერადი 12 ან 18. ასეთივე მიდგომებით არის საბოლოო შეფასება წარმოდგენილი, მაგალითად 40 ქულიანი მიიღება 8-ზე 5-ის გამრავლებით, ბიჯი არის 8 ქულიანი, თავისთავად ცხადია 40 ქულიან ზღვარში 11 ქულიანი *ზღვარის* შესახებ დადგენილება გარკვეულწილად ლოგიკურობას მოკლებულია, მაშინ როდესაც ზოგიერთი სასწავლო კურსების ჩანაწერში ხვდებიან 40 ქულიანი

დასკვნითი შეფასებისთვის ზღვარი უნდა იყოს 25% ანუ 10 ქულა, უნივერსიტეტს კი 11 ქულა აქვს დადგენილი. შესაბამისად, ექსპერტთა ჯგუფი მიიჩნევს რომ ამ სისტემის მოდერნიზება უნივერსიტეტისთვის ერთგვარი გამოწვევა იქნება. შემდეგი რეკომენდაცია ეხება მე-4 სტანდარტს - სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა, სადაც სტანდარტი შეფასებულია როგორც მეტწილად შესაბამისია მოთხოვნებთან, რაც განპირობებულია ორი კომპონენტის 4.2 და 4.4-ის *მეტწილი* შესაბამისობით. პერსონალის პროფესიული განვითარებისათვის თავად დაწესებულებას თვითშეფასებაში უწერია, რომ მათთვის მნიშვნელოვანია უცხოელი პროფესორების ჩართულობა პროგრამის განხორციელებაში, მათ შორის უკუკავშირი რჩევის მიღების გარკვეული აქტივობების პრაქტიკული სამუშაოების განხორციელების გზით, თუმცა თვითშეფასებაში იდენტიფიცირებული მხარის გასაუმჯობესებელი ღონისძიებები არ არის ზუსტად წარმოდგენილი გეგმის სახით, შესაბამისად, *რეკომენდირებულია*, შემუშავდეს მწყობრი გეგმა გასაუმჯობესებელი მხარეებისთვის, რომელიც ასევე შეფასებული იქნება ხარისხის მექანიზმების გამოყენებით.

რაც შეეხება 4.4 კომპონენტს - მატერიალური რესურსი, მოიცავს ორ რეკომენდაციას. პირველი რეკომენდაციის მიხედვით, საჭიროა განხორციელდეს პროფესიული ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების მიმართულების დარგობრივი ლაბორატორიების მოწესრიგება და ტექნიკური განახლება სფეროს თანამედროვე სტანდარტების შესაბამისად, ხოლო მეორე რეკომენდაციის თანახმად, პროგრამის მიერ უნდა შეფასდეს დარგობრივი ლიტერატურის განახლების საჭიროებები და სასწავლო კურსების სახელმძღვანელოების შემუშავებისას ძირითად ლიტერატურად გამოყენებულ იქნას დარგობრივი სფეროს თანამედროვე სტანდარტები და ლიტერატურა. ეს რეკომენდაცია გამომდინარეობს იქიდან, რომ თავად პროგრამას თვითშეფასების მიხედვით აქვს იდენტიფიცირებული დარგობრივი ლიტერატურის განახლების საჭიროება, თუმცა იდენტიფიცირებული მხარის გასაუმჯობესებელ ღონისძიებებში არ არის წარმოდგენილი, რომელია ასეთი დარგობრივი ლიტერატურა, როგორც გეგმავს და ა.შ. ასევე, დარგობრივი ლიტერატურა, რომელიც თავად ექსპერტების მიერ გადაიხედა, თანამედროვე სტანდარტებისა და თანამედროვე ლიტერატურის საფუძველზე მათი შემუშავება და გაუმჯობესება ამ პროგრამის ერთ-ერთი გამოწვევაა. რაც შეეხება 4.5 კომპონენტს - პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტი და პროგრამის ფინანსური მდგრადობა, ამ კუთხით რეკომენდაცია ექსპერტებს 2 წლის უკანაც გაცემული ჰქონდათ და გულისხმობდა რომ პროგრამის მატერიალურ-ტექნიკური ბაზა უნდა გაუმჯობესებულიყო დარგობრივი ლაბორატორიების მოწესრიგებით და განახლებით, სფეროს თანამედროვე სტანდარტების შესაბამისად. ახლაც, ექსპერტის განმარტებით, ამ კუთხით კვლავ ხედავენ გამოწვევას და აღნიშნული რეკომენდაცია სწორედ ამით არის განპირობებული. ასევე გაცემულია რჩევები პროგრამის განვითარებისთვის, ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი რჩევა, რომელიც დაწესებულებამ უნდა გაითვალისწინოს არის, რომ უნივერსიტეტმა შეცვალოს პროგრამის ამჟამინდელი სახელწოდება "საინჟინრო უსაფრთხოება და საგანგებო სიტუაციების მართვა", რადგან შრომის უსაფრთხოება არის მულტიპროფილური სფერო და შესაბამისად არ მოიცავს მხოლოდ საინჟინრო უსაფრთხოებას. ეს საკითხი მხოლოდ რჩევით იმიტომ არის განპირობებული რომ გარკვეულწილად დაწესებულებას აქვს თავისი ხედვები ამ საკითხთან მიმართებით. დანარჩენი რჩევები ეხება გაცვლით პროგრამებში სტუდენტის მონაწილეობას, აკადემიური პერსონალის კვალიფიკაციის ამაღლებას უცხო ენაში, რასაც დაწესებულება ისედაც აქცევს ყურადღებას, გამოკითხვებს *რესპოდენტების* ზრდაში და ა.შ საბჭოს თავმჯდომარე პირველ რჩევასთან დაკავშირებით დაინტერესდა დაწესებულების მოსაზრებით. გაცვლით პროგრამებთან დაკავშირებით რჩევასთან მიმართებით მან გააჟღერა შეკითხვა, აქვს თუ დაწესებულებას გაფორმებული მემორანდუმები კონკრეტულად ამ პროგრამის ფარგლებში რომელიმე უცხოელ უნივერსიტეტთან, სადაც ინსტიტუცია სთავაზობს სტუდენტს გაცვლით პროგრამებში მონაწილეობა მიიღოს. ექსპერტმა აღნიშნა რომ ასეთი მემორანდუმი პროგრამის ფარგლებში უცხოურ უნივერსიტეტებთან გაფორმებული არ არის, თუმცა დაწესებულება მრავალპროფილურია , რაც სხვადასხვა ღონისძიებებით არის განპირობებული.

აქვე აღნიშნა, რომ დაწესებულების მემორანდუმები მხოლოდ ასეთი ღონისძიებებით არ შემოიფარგლება. გაცვლით პროგრამებთან დაკავშირებით კი ფიქრობენ, რომ სამუშაო კიდევ აქვთ. საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს წარმოედგინათ მოსაზრებები. დაწესებულების წარმომადგენელი მიესალმა დამსწრე საზოგადოებას და მადლობა გადაუხადა ექსპერტებს შეფასებისთვის. მან საუბარი დაიწყო პირველი რეკომენდაციით, რომელშიც საუბარია სწავლის შედეგების შეფასების პროცესის მექანიზმების სრულყოფილად ამუშავებაზე. აღნიშნა რომ პროგრამა ჰქონდა პირობითი აკრედიტაცია, დაახლოებით 1 წლის და 2 თვის შემდეგ დაიწყო მზადება ხელახალი რეაკრედიტაციის მიზნებისთვის, მისი თქმით, როდესაც საუბარია ტექნიკური უნივერსიტეტის პროგრამაზე და ეხებიან სწავლის შედეგების შეფასების ნაწილს, უნდა აღინიშნოს რომ აქვთ პროგრამის სასწავლო კურსების ყოველ სემესტრული შეფასებები, ასევე აქვთ ყოველწლიური შეფასება და სრული ციკლის - 4 წლიანი პერიოდის დასრულების შემდეგ კომპლექსური შეფასება. ყველა მექანიზმი არსებობს იმისთვის, რომ პროგრამის ყველა ეტაპზე, პროგრამის ირგვლივ შეკრებილი იყოს, მათ შორის სწავლის შედეგების კუთხით ყველა საჭირო ინფორმაცია. ამ პროცესში, ნებაყოფლობითობის პრინციპიდან გამომდინარე, პროგრამაში ჩართულ ყველა დაინტერესებულ პირს შეუძლია მონაწილეობა მიიღოს. ასევე ცალკე მუშაობს ანალიზის მიმართულება, სადაც რამდენიმე სპეციალისტი უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურში და ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი იხილავს კონკრეტულ სამიზნე ნიშნულებთან პროგრამის შესაბამისობას. მოცემულ შემთხვევაში, ისინი მოკლებულნი იყვნენ შესაძლებლობას სრულად წარმოედინათ ექსპერტებისთვის ამ შეფასების მექანიზმის შედეგი ან თუნდაც იმგვარი გადაწყვეტილება, რომელიც გამართლდებოდა განვლილი პერიოდის შეფასებიდან გამომდინარე, რადგანაც არ არის საკმარისი დრო გასული ამ თვალსაზრისით. დაწესებულება მიიჩნევს რომ ეს არის რჩევა არა იმ თვალსაზრისით, რომ ინსტიტუცია არ აკეთებს რამეს ამ ნაწილში, არამედ იმ თვალსაზრისით რომ როცა ამის ლოგიკური დრო დადგება ეს ყველაფერი მან რეალურად უნდა აქციოს. ასევე მოცემულია ორი რეკომენდაცია რომელიც უშუალოდ დაწესებულებას როგორც გასაუმჯობესებელი მხარე საკუთარ თვითშეფასებაში ჰქონდათ აღნიშნული, დაწესებულების წარმომადგენლის თქმით, ისინი გასაუმჯობესებელ მხარეებს წერენ არა იმ თვალსაზრისით, რომ სტანდარტების დაკმაყოფილების ჭრილში პრობლემა აქვთ, მაგალითად უცხოელი კოლეგების, სპეციალისტების თანამონაწილეობის პროგრამის ფარგლებში, არამედ მათ სურთ გააძლიერონ აღნიშნული თანამშრომლობა. ასევე ინსტიტუციის მხრიდან აღინიშნა, რომ გასული საანგარიშო წელი ძალიან დატვირთული იყო ამ მიმართულებით, ეს იყო ძირითადად იუბილეს აღნიშვნასთან დაკავშირებული ვიზიტორები, სამუშაო შეხვედრები, სამეცნიერო დიალოგები და ა.შ. ამ თვალსაზრისით პროგრამას ეს პრობლემა არ აქვს. საუბარია, რომ ბლოკ სემინარებად მოხდეს უცხოელი სპეციალისტების ჩართვა, ერთი ან ორი კვირის განმავლობაში მოხდეს ინტენსიური სწავლება და ცოდნის გადაცემა სტუდენტებისთვის. ამ კუთხით ვერ ხედავენ რეკომენდაციის სიმძლავრეს, ამიტომ მას, როგორც რჩევას მიიღებენ. შემდეგი რეკომენდაცია ეხებოდა პროგრამის სტრუქტურაში სავალდებულო სტატუსით საინჟინრო გრაფიკის სასწავლო კურსის გათვალისწინებას. დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა რომ ეს სასწავლო კურსი წინა აკრედიტაციის ეტაპზე, პირობითი აკრედიტაციის დროს ჰქონდათ წარმოდგენილი პროგრამაში, მაგრამ ვინაიდან რეკომენდაციები გაიცა კონკრეტული სასწავლო კურსის დამატებით ნაწილში, მათ რაღაცის ხარჯზე უნდა მოეხდინათ საბჭოს რეკომენდაციების გათვალისწინება, შესაბამისად სწორედ ამიტომ მოუწიათ აღნიშნული სასწავლო კურსის "საინჟინრო გრაფიკის“ არჩევით სასწავლო კურსებში გადმოტანა. თუმცა ფიქრობენ, რომ ეს უნდა იყოს სავალდებულო და მიჰყვებიან ექსპერტის რეკომენდაციას. გასაუმჯობესებელ მხარეში ასევე ეწერათ ლიტერატურის განახლება, გაძლიერება, გათანამედროვება და ა.შ. აღინიშნა რომ ეს ფაკულტეტი არის სანიმუშო იმ თვალსაზრისით რომ უნიკალურია და სხვა უნივერსიტეტების მიერ გამოყენებად სახელმძღვანელოებს ქმნის, სახელმძღვანელოებს რომლებიც აქამდე ქართულ ენაში არ არსებობდა. ეს გუნდი, რომელიც ამ ყველაფერში

მონაწილეობს ყოველთვის მოწოდებულია ამ რეკომენდაციის შესრულებაზე, სწორედ ამიტომ დაფინანსებები ცენტრალური ბიუჯეტიდან თუ პარტნიორი ორგანიზაციებიდან აქტიურად მოდის ამ მიმართულებაზე. აქ საუბარია არა სტანდარტის დაკმაყოფილების ნაწილში გამოწვევაზე, არამედ არსებული მდგომარეობის გაუმჯობესებაზე. რაც შეეხება მწყობრ გეგმას, როგორც ეს ექსპერტთა დასკვნაში არის აღნიშნული რეალური შედეგებიდან გამომდინარე ესეც დაგეგმილიც და განხორციელებული აქვთ პრაქტიკაში.
რაც შეეხება რეკომენდაციას საბაკალავრო ნაშრომის შედგენის ფორმირების და შეფასების წესზე, დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა რომ სრულიად ახალი *ვებ*-გვერდი გაეშვება უახლოეს დღეებში, ამიტომ ბმულები უკვე აღარ ედრება ერთმანეთს. რაც შეეხება შუალედურ და დასკვნით შეფასებას და მის კრიტერიუმებს, მისი თქმით, წარმოდგენილი ფორმულა მუშაობს და არანაირი მათემატიკური აცდენა ამ თვალსაზრისით არ არსებობს, არც ჯერადობის და არც ბიჯების კუთხით. ზუსტად აქვთ გაწერილი მაგალითად 6 ქულა რაში იწერება, ეს არის შინაარსის და გაფორმების წესი. 5 ქულა, 3 ქულა რაში იწერება და ა.შ. ეს არის საუნივერსიტეტო წესი, ავტორიზაციის ნაწილში რევიზიას უკეთებენ ყველა მოქმედ საუნივერსიტეტო რეგულაციას. დაწესებულების ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი, შალვა კელეპტრიშვილი მიესალმა დამსწრე საზოგადოებას და აღნიშნა რომ ამ პროგრამას აქვს პირობითი აკრედიტაცია, პროგრამას განესაზღვრა 26 რეკომენდაცია, შეხვედრის დროს მან ექსპერტებს განუცხადა რომ ყველა რეკომენდაცია იყო შესრულებული. მისი თქმით, როდესაც ამ რაოდენობის რეკომენდაციებზეა საუბარი, არის შემთხვევები ერთი მხარე სრულდება მეორე კი ზარალდება, ასევე რეკომენდაციების ნაწილი ამჟამინდელ შეფასებაში გამოჩნდა იმ საკითხების შესახებ, რაზეც წინა აკრედიტაციის პერიოდში არ დასმულა შეკითხვები. საინჟინრო გრაფიკის დამატებასთან დაკავშირებულ რეკომენდაციაზე მან აღნიშნა რომ ეს არის ის შემთხვევა, როდესაც ერთი საქმე შეასრულეს, ხოლო მეორე დაზარალდა. პირველ ჯერზე, ექსპერტების რეკომენდაციით ორი სასწავლო კურსის დამატება მოუწიათ, ეს არის ფსიქოლოგის შესავალი და ორგანული ქიმიის შესავალი. აღნიშნა, რომ ეს საგანი არ დაკარგულა, იგი გადაიტანეს არჩევითში. ეს მნიშვნელოვანი ცვლილებები შარშან დეკემბერში დამტკიცდა აკადემიურ საბჭოზე, ხოლო პროგრამა ძალაში შევა მხოლოდ სექტემბრიდან, რადგან ახლა რომ შეეტანათ ცვლილებები მეოთხე კურსელების ფაქტობრივად ვერ დაამთავრებდნენ. სწორედ ასეთი თვისებრივი ცვლილება განიცადა ამ პროგრამამ. დღესაც კი ეს საგანი ძირითად სასწავლო კურსებშია, უბრალოდ ეს მოხდა იძულების წესით. როდესაც ამ რეკომენდაციას შეასრულებენ, რაღაც აუცილებლად დაზარალდება. როდესაც სტუდენტები მივლენ არჩევით ეტაპამდე, შეუძლიათ ურჩიონ ამ საგნის არჩევა. პროგრამის სწავლის შედეგების მექანიზმთან დაკავშირებულ რეკომენდაცია აღინიშნა რომ ამ კუთხით პროგრამას ყველაფერი შესრულებული აქვს. 2021 წელს როდესაც აკრედიტაცია გაიარეს, ხარისხის სამსახურმა დადო სწავლის შედეგების შეფასების მწყობრი მექანიზმი. მისი ამოქმედება კი დაიწყო მომდევნო წლიდან. ექსპერტის მიერ აღინიშნა, რომ შესაძლებელია მოკლე ციკლების ჩატარება, მას კი არ სმენია თუ რას ნიშნავს მოკლე ციკლი. მისი თქმით აქვთ ერთი წლის ნედლი მასალა, რომელიც არ აძლევს საშუალებას გარკვეული ქმედებები განახორციელოს. რაც შეეხება სტუდენტების ჩართულობას, მათ აქვთ დაახლოებით 60-მდე სტუდენტის თვითშეფასება, სადაც მოსაზრებები დააფიქსირეს სწავლის შედეგების შეფასების კუთხით. რაშიც რა თქმა უნდა მათი ჩართულობა იგულისხმება. გასაუბრებისას შესაძლოა ის სტუდენტები არ ყოფილიყვნენ ვისთანაც თვითშეფასება გააკეთეს, რადგანაც ისინი იყვნენ მაღალ კურსელები. დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა რომ წინა 26 რეკომენდაციაში არ გამოკვეთილა ის საკითხები რაც ახლა გახდა აქტუალური. მაგალითად, საუბარი იყო დასკვნით შეფასებაზე, საბაკალავრო ნაშრომსა და პრაქტიკაზე. ზუსტად იგივე მასალა იყო წარდგენილი 2021 წელს, რაც ახლა შესაბამისად ჩათვალეს რომ ამ მიმართულებით არანაირი პრობლემა არ ისახებოდა. რაც შეეხება რეკომენდაციას დარგობრივი ლიტერატურის განახლებებზე, დაწესებულების წარმომადგენლის თქმით, ეს პროგრამა მართლაც უნიკალურია რადგან სხვაგან არ ხორციელდება.

აღინიშნა, რომ ყველა სასწავლო ლიტერატურა არის ორიგინალური, რადგან შექმნილია ამ დეპარტამენტის პროფესურის მიერ. 2010-2019 წლის განმავლობაში ამ დეპარტამენტის თანამშრომლებმა შექმნეს 38 სახელმძღვანელო, 6 დამხმარე სახელმძღვანელო 17 მეთოდური მითითება და 16 სალექციო კურსი. დეპარტამენტმა ისევ განაახლა ლიტერატურა და დამატებით წარმოადგინა 11 სხვადასხვა დასახელების კურსები. შესაბამისად პროგრამაში ჩართულია გამოცდილი ხალხი. საუბარი იყო რომ ეს სახელმძღვანელოები დაფუძნებული უნდა იყოს ახალ საკანონმდებლო რეგულაციებზე. როდესაც საუბარია ქართულ კანონმდებლობაზე, იგი დაფუძნებულია უცხოურ კანონმდებლობაზე რაც ყოველწლიურად იცვლება. შესაბამისად პროგრამა ცდილობს არ ჩამორჩეს ამ პროცესებს. რაც შეეხება უცხოელი პროფესორების ჩართულობას, ეს მათ თვითშეფასებაში იდენტიფიცირებული აქვთ როგორც გასაუმჯობესებელი მხარე. აღინიშნა რომ მოწვევები გაგზავნილი აქვს ინსტიტუციას, მოიწვიეს ასევე რუმინელი პროფესორი, რომელიც ავადმყოფობის გამო ვერ ჩამოვიდა, მაგრამ უახლოეს მომავალში ელოდებიან. მომდევნო რეკომენდაცია, რომელიც გულისხმობს რომ გაუმჯობესდეს პროგრამაში შემავალი კურსების „საწარმოო ავარიები და კატასტროფები“, „საწარმოო სანიტარია“, შინაარსი და სწავლის შედეგების განაცხადი პროგრამაში მათი ადგილის, წინაპირობების, ლოგიკურობისა და თანმიმდევრულობის გათვალისწინებით, დაწესებულების წარმომადგენლის თქმით, ეს საგნები იკითხება მეორე კურსზე და სწავლის შედეგები თავისთავად გადის გაცნობაზე. ასევე, მან აღნიშნა რომ ეს პროგრამა არის მეტად აქტუალური, საინტერესო, მოთხოვნადი და დასაქმებადი. პროგრამის ხელმძღვანელი მიესალმა დამსწრე საზოგადოებას ისაუბრა სასწავლო კურსებზე „საწარმოო ავარიები და კატასტროფები“და „საწარმოო სანიტარია“. აღნიშნა რომ რომ ეს არის ვრცელი სასწავლო კურსები, რომელთაც ახლავს სახელმძღვანელოები და მეთოდური მითითებები. ამ მითითებებში არის ვრცელი საცნობარო მასალა, ყველა ანალოგიური ამოცანა ახსნილია დაწვრილებით, სტუდენტთან შეხება აქვთ, როგორც სემინარზე ასევე ლექციაზე, დრო კი საკმარისი აქვთ, რომ დაძლიონ მასალა. შალვა კელაპტრიშვილმა ისაუბრა რეკომენდაციებზე, რომლებიც ეხება ლაბორატორიებს. მისი თქმით, ამ რეკომენდაციას ეთანხმებიან და ამ კუთხით პროცესები უმჯობესდება. გამომდინარე იქიდან რომ ეს არის მრავალმხრივი პროგრამა, მას ბევრი ლაბორატორია ემსახურება, კერძოდ, სხვადასხვა ფაკულტეტების ლაბორატორიები, სიმულაციის ცენტრი რომელიც ახლად გახსნილ სამედიცინო ფაკულტეტზე შეიქმნა და ა.შ. ერთადერთი მინუსი არის თვითონ უსაფრთხოების ლაბორატორია. აღსანიშნავია რომ ექსპერტების ვიზიტის შემდეგ უნივერსიტეტმა ერთი ხელსაწყო უკვე შეიძინა. საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს დაეფიქსირებინათ საკუთარი მოსაზრებები. გოდერძი ბუჩაშვილმა დასვა კითხვა მე-3 რეკომენდაციასთან დაკავშირებით, მისი თქმით, არგუმენტირებულ პასუხში ექსპერტებს აქვთ დასაბუთებული რატომ ვერ გაიზიარებენ დაწესებულების პოზიციას, მიზეზიც კარგად არის აღწერილი. ან ითხოვა ამ ყველაფრის მკაფიოდ დასაბუთება. მითითებულია რომ წინაპირობების მიხედვით არ ხდება შედეგების შეფასება. საბჭოს თავმჯდომარემ მეორე კითხვით მიმართა როგორც დაწესებულებას, ისე ექსპერტებს, მისი თქმით, პირველ რეკომენდაციასთან მიმართებით, ექსპერტების მოსაზრებაა დინამიკაში მოხდეს პროგრამის განვითარების შეფასება, ციკლური შეფასება იყოს პირველ წელს, მეორე წელს, რაც იძლევა სურათს, თუ როგორ ვითარდება პროგრამა. საბჭოს თავმჯდომარე დაინტერესდა ამ ნაწილში კონკრეტულად რა არის მიუღებელი დაწესებულებისათვის. შალვა კელაპტრიშვილმა აღნიშნა, რომ სწავლის შედეგების ანგარიში რაც წარმოდგენილი აქვს იქ მხოლოდ სტატისტიკა კი არა დინამიკაშია განხილული ყველაფერი. ბოლოში მოცემულია პროცენტები და ასევე როგორ არის ეს ყველაფერი დინამიკაში ასევე გამოკვეთილია ის სასწავლო კურსი, რომელსაც დაბალი შეფასება აქვს ეს არის შრომის უსაფრთხოება აგრარულ სექტორში. რისი დინამიკაც მოცემულია ბოლოში.

ექსპერტმა აღნიშნა, რომ შეფასება რომელიც გასცეს ამ სტანდარტის შესაბამისია მეტ წილად მოთხოვნებთან თავისთავად ადასტურებს, რომ პროგრამა სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმით მეტ წილად ნორმალურად აქვს გაკეთებული შეფასება. რაც შეეხება გაცემულ

რეკომენდაციას დიახ დინამიკაში და ყოველწლიურად პატარ-პატარა ციკლების შეფასებაში დგება მთლიანი ციკლი. ეს არიც ციკლი, რომელიც 4 წლიანი გათვალისწინებული აქვს დაწესებულებას ასევე არსებობს 1 წლიანი ციკლები, სადაც დაგეგმე, შეაფასე, გააუმჯობესე და ა.შ ყველა ერთად მოქმედებს წლების განმავლობაში, რომელსაც მივყავართ კიდევ გაუმჯობესებაზე. ეს ყველაფერი შალვა კელაპტრიშვილს გაკეთებული აქვს, აქვს გასაუმჯობესებელი მხარეები გარკვეულად იდენტიფიცირებული თუმცა შესაძლებელი იყო კრიტიკული საკითხები უფრო მეტად ყოფილიყო გამოკვეთილი. შესაბამისად რეკომენდაცია იყო ეს ყველაფერი მოხდეს დინამიკურ რეჟიმში, რაც დაწესებულების არგუმენტირებულ პასუხში ვერ ნახეს რომ ამ რეკომენდაციას ასე უყურებდნენ და ამ დინამიკას ითვალისწინებდნენ. ასევე შესაბამისი აღწერები ახლავს 1.3 კომპონენტის შეფასებას რომელიც დასკვნაში დაწვრილებით არის მოცემული. შალვა კელეპტრიშვილმა აღნიშნა, რომ ეს ციკლი და ხარისხის ციკლი სხვადასხვა. სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი, რომელსაც თავისი ციკლი აქვს სულ სხვა არის. მან სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმის მექანიზმით იხელმძღვანელა.

საბჭოს თავმჯდომარის, გოდერძი ბუჩაშვილის თქმით, როგორც დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა დასაქმების მაჩვენებელი საკმაოდ შთამბეჭდავია, თვითშეფასების შესაბამისად დასაქმების მაჩვენებელი კვალიფიკაციის შესაბამისად არის 70, ხოლო ზოგადი დასაქმების მაჩვენებელი არის 80, ეს არის რაოდენობრივი მაჩვენებელი და არა პროცენტული. ნინო რატიანი მიესალმა დამსწრე საზოგადოებას და აღნიშნა, რომ მე-4 კურსზე პრაქტიკულად არ ჰყავთ დაუსაქმებელი სტუდენტი. დიდი მოთხოვნა განსაკუთრებით სამშენებლო სექტორში მათ აქვთ ხელშეკრულება დადებული არა ერთ დეველოპერულ კომპანიასთან. დღესდღეობით სთხოვენ იყვნენ 1-2 კურსელი თუმცა 1და2 კურსელთა დასაქმებაზე თავს იკავებენ იქიდან გამომდინარე, რომ არ უნდათ სწავლის პროცესს შეუშალოს ხელი. არის გარკვეული საათობრივი დატვირთვა და ეს სტუდენტები შემდგომ დასაქმდებიან ამ ორგანიზაციაში. ძირითადად 3-4 კურსელები ყველანი არიან დასაქმებულნი. ძალიან სასიხარულოა, მათთვის როდესაც სტუდენტები მიჰყავთ პრაქტიკაზე და იქ ხვდებიან შრომის უსაფრთხოების სპეციალისტები უკვე მათი კურსდამთავრებულები. დღესდღეობით მათი დიპლომირებული კურსდამთავრებულების მოთხოვნა არის ძალიან მაღალი იქიდან გამომდინარე, რომ ისინი გადავიდნენ ევროპულ კლასიფიკატორზე და მხოლოდ ტექნიკური დარგის ანუ მძიმე მრეწველობა და მსუბუქი მრეწველობა არ ითხოვს შრომის უსაფრთხოების სპეციალისტის აუცილებლობა მხოლოდ ამ სექტორში არ არის. ამიტომ დეფიციტი ამ მხრივ შეიმჩნევა შესაბამისად მათ სტუდენტებზე დიდი მოთხოვნაა. საბჭოს თავმჯდომარემ, გოდერძი ბუჩაშვილმა დასვა დამაზუსტებელი კითხვა ანუ 85 კურსდამთავრებული და 70 კვალიფიკაციის შესაბამისად დასაქმებული? დავით მახვილაძემ აღნიშნა, რომ 100% დასაქმება აქვთ ამ პროგრამის კურსდამთავრებულებს და ეს 80%, 70% იანი სურვილის შემთხვევაში რა თქმა უნდა დამამთავრებელ კურსზე მყოფნი არიან. მოთხოვნის ტენდენცია მზარდია და დეფიციტს ვერ ავსებენ ამ მიმართულებით შრომის ბაზარზე. ეს რიცხვები კი დღეს აღარ არის *ვა ლიდური.* მიღებული ცოდნა ანუ სწავლის შედეგი უზრუნველყოფს 100% დასაქმებას. საბჭოს თავმჯდომარემ, გოდერძი ბუჩაშვილმა დასვა კითხვა ასევე თუ სთავაზობს კონკრეტული პროგრამა სტუდენტს გაცვლით პროგრამებში მონაწილეობის მიღებას. დავით მახვილაძემ აღნიშნა რომ უნივერსიტეტში კონკრეტული პროგრამის ფარგლებში ძალიან იშვიათია ხდებოდეს გაცვლითი პროგრამები ეს მხოლოდ სპეციფიკური პროგრამის ფარგლებში სპეციფიკური თანამშრომლობით ხდება. ყველა პროგრამის სტუდენტები ძირითადად ევროპის ფარგლებში შესაძლებლობა აქვთ მიიღონ მონაწილეობა გაიარონ საუნივერსიტეტო კომისია და გაცვლით პროგრამაში ჩაერთონ მათთვის სასურველი შეთავაზების ფარგლებში. ისევე როგორც ამ პროგრამის სტუდენტები. ეს არის ყოველდღიური რეჟიმი თვითონ არის ამ კომისიის წევრი გაცვლით პროგრამებზე წინარე საუნივერსიტეტო გასაუბრების. მაგალითად წინა კვირაში დაახლოებით 20-მდე განაცხადზე 60-მდე სტუდენტს მოუსმინეს კომისიის ფარგლებში და ეს

არის უწყვეტად გაზაფხულის სემესტრში და შემოდგომის სემესტრში. გოდერძი ბუჩაშვილმა დასვა კითხვა თუ აქვთ უშუალოდ ამ აღნიშნული აქტივობის შესახებ სტატისტიკა. რაზეც დაწესებულების წარმომადგენელმა უპასუხა, რომ ამ პროგრამის ფარგლებში სტუდენტი იყო ესპანეთში *ერასმუსის* პროგრამით ორი სტუდენტი ასევე იყვნენ ევროპის სხვადასხვა ქალაქებში ასევე *ერასმუსის* პროგრამით. რაც შეეხება პედაგოგებს თვითონ იმყოფებოდა ვილნიუსის *გედე მინას* ტექნიკურ უნივერსიტეტში გაცვლითი პროგრამით. დავით მახვილაძემ ასევე გასცა პასუხი კითხვას მე-3 რეკომენდაციასთან დაკავშირებით და აღნიშნა, რომ აქ საუბარია არა კურსების პრობლემატურობაზე არა შინაარსზე საუბარია იმაზე რომ ის სწავლის შედეგები რომელზეც გადის ეს სასწავლო კურსები აღემატება გაცნობით ხასიათს. საბჭოს წევრმა, გურანდა ჭელიძე მიესალმა დამსწრე საზოგადოებას დასვა კითხვა 1.5 კომპონენტში საბაკალავრო ნაშრომთან დაკავშირებულ რეკომენდაციაზე, სადაც ექსპერტები წერენ უნდა შემუშავდეს ზუსტი ინსტრუქცია საბაკალავრო ნაშრომის მოსამზადებლად. როდესაც გაეცნო საბაკალავრო ნაშრომის სილაბუსს ლიტერატურაში მითითებული იყო ჩხეიძე, მაჭავარიანის საინჟინრო უსაფრთხოების და საგანგებო სიტუაციების მართვის მეთოდური მითითებები საბაკალავრო ნაშრომის შესასრულებლად ანუ პროგრამის ხელმძღვანელებმა და განმახორციელებელმა აკადემიურმა პერსონალმა შეიმუშავა ასეთი მეთოდური მითითებები დასვა დამაზუსტებელი კითხვა ექსპერტებთან თუ ნახეს ადგილზე ეს მეთოდური მითითებები, თვითონ სცადა მოეძიებინა ელექტრონულად მაგრამ ვერ ნახა, თუ ნახეს თუ ფარავს კონკრეტულ მოთხოვნას საბაკალავრო ნაშრომის შესრულების პირობებთან დაკავშირებით. ასევე დასვა მეორე კითხვა დაწესებულებასთან ხომ არ უფიქრია პროგრამის მიზნებიდან და შედეგებიდან გამომდინარე თავისუფალი კომპონენტების ბლოკში შესაძლებელია ჩაერთოს სასწავლო კურსი შრომითი უფლებების შესახებ ვინაიდან ზოგადად ამ პროგრამის არსებობა პრინციპში დაავალდებულა ასოცირების შეთანხმებამ შრომის უსაფრთხოების სფეროში განსახორციელებელი ვალდებულებების სახით რამდენადმე უკავშირდება შრომითი უსაფრთხოების თემასაც. ხომ არ უფიქრია დაწესებულებას სამომავლოდ თავისუფალი კომპონენტის სახით ამ თემაზე სტუდენტების არჩევით შეთავაზებაზე. დავით მახვილაძემ უპასუხა მეორე კითხვას და აღნიშნა, რომ არაჩვეულებრივი მითითებაა შრომითი სამართლის კომპონენტის შემოტანა შრომითი უფლებების ჭრილში იქნება ძალიან კარგი ამ პროგრამისთვის და სპეციალურად შექმნიან. შალვა კელაპტრიშვილმა აღნიშნა, რომ თავისუფალში ვერ წავა. შრომითი უფლებები უშუალოდ ამ პროგრამას ეხება და შეუძლიათ ძირითადი სასწავლო ბლოკის არჩევით ბლოკში შეიტანონ. ექსპერტმა უპასუხა პირველ კითხვას და აღნიშნა, რომ პროგრამას ამ კუთხით 2 წლის უკანაც აფასებდნენ და სწორედ მაშინ ნახეს ამ სილაბუსის მეთოდური მითითებანი იგივე მეთოდური მიეთითება წარმოდგენილი ახლაც და ამ კუთხით ახლანდელ ვიზიტზე არ გამოუთხოვიათ ეს მითითებანი. თუმცა გადახედეს საკურსო სამუშაოებს და გარკვეული საკურსო სამუშაო მოითხოვეს გადასახედად სტუდენტის მიერ შესრულებული. რეკომენდაცია ეხება ორივეს როგორც საკურსო სამუშაოს ასევე საბაკალავრო ნაშრომებს და ამბობენ, რომ ხარისხიანი სამუშაოს შესრულების მიზნით რეკომენდებულია შემუშავდეს და პრაქტიკაში დაინერგოს ამ კურსების შემუშავების და წარდგენის ზუსტი ინსტრუქციები. შესრულებისა და წარდგენის ზუსტი ინსტრუქციები ასევე თანხვედრაში უნდა იყოს დაწესებულების შემუშავებულ სტანდარტებთან და ამ კუთხით ის მეთოდური მითითებანი ცოტათი გასაახლებელია ასევე ამბობენ რომ ლიტერატურა, რომელიც თვითშეფასებაში მითითებული აქვთ მისი განახლება არის ძალიან კარგი. უცხოელი პროფესორის მოწვევა რომ კარგია ამას წერს თვითშეფასებაში მაგრამ ექსპერტები ამბობენ, რომ თვითშეფასება მოითხოვს დეტალურად გაიწეროს როგორია ხედვა ამ გასაუმჯობესებელი მხარის დაგეგმილ ღონისძიებებზე. თავად რომ ამ კუთხით უყურებენ პროგრამას განვითარებისთვის სწორედ დაგეგმონ და შეაფასონ გეგმა ჰქონდეთ ქმედითი სწორედ ეს იყო ამ რეკომენდაციის შინაარსი. შესაბამისად არსებული საბაკალავრო ნაშრომის და საკურსო სამუშაოს მეთოდური მისთითებია გაანალიზების შემდეგ მივიდნენ ამ რეკომენდაციამდე. შალვა კელაპტრიშვილი შეეხო საკითხს პროგრამის დასახელებასთან დაკავშირებით და

აღნიშნა რომ პროგრამა ადრე წარადგინეს კლასტერულად, როგორც მაგისტრატურაზე ასევე დოქტორანტურაზე. მაგისტრატურაში ჰქვია პროფესიული უსაფრთხოება და ჯანმრთელობა დოქტორანტურაში პროფესიული უსაფრთხოება და ჯანმრთელობა, აღინიშნა რომ პროგრამის სათაურის შეცვლა საბაკალავროზე არის უმარტივესი მაგრამ არის შემაფერხებელი გარემოება. პროგრამა არის დაფინანსებული სახელმწიფოს მიერ და ერთის სიტყვის შეცვლაც კი გამოიწვევს დაფინანსების შეწყვეტას.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება
დაწყების დრო: 15:19 სთ
დასრულების დრო: 15:34 სთ

საგანმანათლებლო პროგრამის შეფასება და კენჭისყრა: საბჭომ გაიზიარა ექსპერტთა დასკვნაში ასახული საერთო შეფასება.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა: სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის "საინჟინრო უსაფრთხოება და საგანგებო სიტუაციების მართვის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამისათვის აკრედიტაციის მინიჭების საკითხი კლასტერის ვადით (31/12/2026), 1 წლის თავზე რეკომენდაციების შესახებ ანგარიშის წარმოდგენით.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 15
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის “ა” ქვეპუნქტისა, მე-3 და მე-4 პუნქტების, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-3 და მე-8 პუნქტების, აკრედიტაციის დებულების 27^2 მუხლის პირველი პუნქტის, 27^5 მუხლ ის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და მე-5 პუნქტის, 27^6 მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ” სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის № 223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის "საინჟინრო უსაფრთხოება და საგანგებო სიტუაციების მართვის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამას მიენიჭოს აკრედიტაცია 2026 წლის 31 დეკემბრამდე, 1 წლის თავზე რეკომენდაციების შესრულების შესახებ ანგარიშის წარმოდგენის პირობით.

დაწესებულებას შესასრულებლად განესაზღვრათ შემდეგი რეკომენდაციები და რჩევები:

რეკომენდაციები:

1. რეკომენდებულია პროგრამის სტრუქტურაში სავალდებულო სტატუსით გათვალისწინებულ იქნას საინჟინრო გრაფიკის სასწავლო კურსი;
2. რეკომენდებულია გაუმჯობესდეს პროგრამაში შემავალი კურსების „საწარმოო ავარიები და კატასტროფები“, „საწარმოო სანიტარია“, შინაარსი და სწავლის შედეგების განაცხადი პროგრამაში მათი ადგილის, წინაპირობების, ლოგიკურობისა და თანმიმდევრულობის გათვალისწინებით;

3. სტუდენტის მიერ საკურსო სამუშაოსა და საბაკალავრო ნაშრომების ხარისხიანად შესრულების მიზნით, რეკომენდებულია, შემუშავდეს და პრაქტიკაში დაინერგოს საკურსო სამუშაოსა და საბაკალავრო ნაშრომის შესრულებისა და წარდგენის ზუსტი ინსტრუქციები, რომელშიც ასახული იქნება მოთხოვნები ნაშრომის შინაარსის, ფორმატის, აკადემიური წერის სტილისა და ციტირების წესების შესახებ;
4. რეკომენდებულია, რომ სასწავლო კურსებში გაძლიერდეს პროფესიული ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების სფეროში არსებული საერთაშორისო სტანდარტებისა და რეგულაციების სწავლება (მათ შორის სასწავლო ლიტერატურის განახლებით), ასევე მზომი ხელსაწყოების გამოყენების სპეციფიკის, გაზომვების განხორციელებისა და დოკუმენტირების საკითხების სწავლება;
5. მოდერნიზდეს საბაკალავრო კვლევითი პროექტის/ნაშრომის შეფასებისათვის დადგენილი საუნივერსიტეტო რეგულაცია შეფასების მიდგომების გაუმჯობესების გზით, რაც უზრუნველყოფს პროგრამაში უფრო ლოგიკურ, სანდო და გამჭვირვალე შეფასების მიდგომების გამოყენებას, შესაბამისად, გაუმჯობესდეს სტუდენტის შეფასების მიდგომები პროგრამის სწავლის შედეგების მაფორმირებელ ძირითად სასწავლო კურსებში - "საწარმოო პრაქტიკა შრომის უსაფრთხოებაში" და "საბაკალავრო ნაშრომი შრომის უსაფრთხოებაში";
6. შემუშავდეს მწყობრი გეგმა გასაუმჯობესებელი მხარის „უცხოელი პროფესორების ჩართულობა პროგრამის განხორციელებაში (მათ შორის უკუკავშირის, რჩევების მიღების თვალსაზრისით)" აქტივობებისათვის, პრაქტიკულად განხორციელდეს ინტერნაციონალიზაციის აქტივობები პროგრამის დარგობრივი მიმართულებით, რომელშიც გამოყენებული იქნება სტუ-ს პარტნიორ უნივერსიტეტებთან თანამშრომლობა და ინტერნაციონალიზაციის პოლიტიკის მხარდამჭერი მექანიზმები და რომლის შესრულება შეფასდება PDCA-ციკლის გამოყენებით;
7. რეკომენდებულია განხორციელდეს პროფესიული ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების მიმართულების დარგობრივი ლაბორატორიების მოწესრიგება და ტექნიკური განახლება სფეროს თანამედროვე სტანდარტების შესაბამისად;
8. რეკომენდებულია პროგრამის მიერ შეფასდეს დარგობრივი ლიტერატურის განახლების საჭიროებები და სასწავლო კურსების სახელმძღვანელოების შემუშავებისას ძირითად ლიტერატურად გამოყენებულ იქნას დარგობრივი სფეროს თანამედროვე სტანდარტები და ლიტერატურა;
9. რეკომენდებულია, ფინანსური რესურსები მაქსიმალურად მოხმარდეს პროგრამის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაუმჯობესებას, განსაკუთრებით პროფესიული ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების მიმართულების დარგობრივი ლაბორატორიების მოწესრიგებასა და ტექნიკური განახლებას, სფეროს თანამედროვე სტანდარტების შესაბამისად;

რჩევები:

1. რეკომენდებულია პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების პროცესში მონაცემების დამუშავება და ანალიზი განხორციელდეს კრიტიკული საკითხებისა და გასაუმჯობესებელი მხარეების იდენტიფიცირებაზე ორიენტირებულობით, რაოდენობრივი და თვისობრივი მეთოდების კომბინაციით, ამასთან, დაინერგოს პრაქტიკა, რომლის მიხედვითაც პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების ანალიზი ეცნობება პერსონალსა და სტუდენტებს შეხვედრების, ელექტრონული კომუნიკაციისა (მაგ. დოკუმენტის დაგზავნა კორპორატიულ ფოსტაზე, შეტყობინება სტუდენტურ პორტალზე) და სხვა გზების გამოყენებით;

2. სასურველია უნივერსიტეტმა გამოიყენოს მრავალფეროვანი ინსტრუმენტები და მექანიზმები, რომლებიც გაზრდის პროგრამის სტუდენტების გაცვლით პროგრამებში აქტიურ ჩართულობას;
3. პროგრამის შემდგომი განვითარებისათვის, პროგრამის განხორციელებაში მოიწვიეთ და ჩართეთ ახალგაზრდა სპეციალისტები, რომლებიც ფლობენ დარგის შესაბამის ცოდნას და აქვთ მუშაობის პრაქტიკული გამოცდილება;
4. განხორციელდეს აკადემიური პერსონალის კომპეტენციის ამაღლება უცხო ენაში (ინგლისურში), შედეგზე ორიენტირებით - პერსონალმა შეძლოს გამოიყენოს თანამედროვე დარგობრივი სასწავლო და სამეცნიერო ლიტერატურა და დაამყაროს კავშირები უცხოელ კოლეგებთან, რაც ხელს შეუწყობს პროგრამის ინტერნაციონალიზაციას.

მეორე საკითხი სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის "ნავთობის და გაზის ტექნოლოგიების" რუსულენოვან სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამასთან დაკავშირებით საბჭოს რეკომენდაციების შესრულების თაობაზე ანგარიში;

№	**ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ**	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	ნავთობისა და გაზის ტექნოლოგიები
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	-
3	სტატუსი	აკრედიტებული
4	სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	15.02.2022 № 152108
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	-
6	უმაღლესი განათლების საფეხური	მაგისტრატურა
7	დაშვების წინაპირობები	-
8	კვალიფიკაციის დონე	მე - 7
9	კვალიფიკაციის დასახელება	ნავთობისა და გაზის მოპოვების ტექნოლოგიის მაგისტრი
10	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	-
11	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)	0724 - სამთო საქმე და მოპოვება
12	სწავლების ენა	ქართული
13	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	120
14	განხორციელების ადგილი	საქართველო, 0160, თბილისი, მ. კოსტავას ქ. 77, № 3 სასწავლო კორპუსი
15	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა - სწავლების უფლებამოსილება	-

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება
√ არა

საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება
√ დიახ

თვითაცილება განაცხადეს მარინე მაისურაძემ და ქეთევან ქუთათელაძემ. თვითაცილების საფუძველს წარმოადგენდა შრომითი ურთიერთობა დაწესებულებასთან.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და საგანმანათლებლო პროგრამის ექსპერტთა დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.
საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ)ა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

მეორე საკითხის ზეპირი მოსმენა
ექსპერტების პოზიციის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტთა ჯგუფს წარმოედგინათ მათი პოზიცია.
ექსპერტი მიესალმა დამსწრე საზოგადოებას და აღნიშნა რომ წარმოადგენს საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის "ნავთობის და გაზის ტექნოლოგიების" რუსულენოვანი სამაგისტრო პროგრამასთან დაკავშირებით ექსპერტთა დასკვნის რეკომენდაციების შესახებ ანგარიშის დასკვნას. მისი თქმით, ამ პროგრამაზე ექსპერტთა ჯგუფმა იმუშავა ჯერ კიდევ ერთი წლის წინ, საბჭოს მიერ დაწესებულებას განესაზღვრა 1 წლის ვადა რომ წარმოედგინა რეკომენდაციების შესრულების შესახებ ანგარიში. დასკვნაში წარმოდგენილია რვა რეკომენდაციაზე პასუხი. დაწესებულების მიერ რეკომენდაციები შესრულებულ იქნა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს წარმოედგინათ მოსაზრებები.
დავით მახვილაძე მიესალმა დამსწრე საზოგადოებას, აღნიშნა რომ ყველა რეკომენდაცია და რჩევა დაწესებულებამ შეასრულა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს დაეფიქსირებინათ საკუთარი მოსაზრებები.
საბჭოს წევრების მხრიდან შეკითხვები არ ყოფილა.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება
დაწყების დრო: 15:38 სთ
დასრულების დრო: 15:39 სთ

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა: სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის "ნავთობის და გაზის ტექნოლოგიების" რუსულენოვან სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი ანგარიშის ცნობად მიღების საკითხი.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 14
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება: აკრედიტაციის დებულების 27^{6} მუხლის მე - 2 პუნქტისა და 2^{11} პუნქტის საფუძველზე ცნობად იქნეს მიღებულისსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის "ნავთობის და გაზის ტექნოლოგიების" რუსულენოვან სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე აკრედიტაციის საბჭოს რეკომენდაციების შესრულების შესახებ წარმოდგენილი ანგარიში.

მესამე საკითხი: სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის "ბუნებრივი საფრთხეები, მდგრადი გარემო და დაცვის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე განხორციელებული გეგმური მონიტორინგის შედეგების განხილვა;

ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ	
საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	ბუნებრივი საფრთხეები, მდგრადი გარემო და დაცვა
ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	-
სტატუსი	აკრედიტებული
სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	11/08/2020 № 679098
ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	-
უმაღლესი განათლების საფეხური	ბაკალავრიატი
დაშვების წინაპირობები	-
კვალიფიკაციის დონე	მე - 6
კვალიფიკაციის დასახელება	ინჟინერიის ბაკალავრი გარემოს ინჟინერიაში
ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	-
დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)	0712 - გარემოს დაცვის ტექნოლოგია
სწავლების ენა	ქართული
ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	240
განხორციელების ადგილი	საქართველო, 0160, თბილისი, მ. კოსტავას ქ. 77, № 3 სასწავლო კორპუსი
მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა - სწავლების უფლებამოსილება	-

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება
√ არა

საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება
√ დიახ

თვითაცილება განაცხადეს მარინე მაისურაძემ და ქეთევან ქუთათელაძემ.
თვითაცილების საფუძველს წარმოადგენდა შრომითი ურთიერთობა დაწესებულებასთან.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და საგანმანათლებლო პროგრამის ექსპერტთა დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.
საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ)ა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

მესამე საკითხის ზეპირი მოსმენა
ექსპერტების პოზიციის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტთა ჯგუფს წარმოედგინათ მათი პოზიცია.
ექსპერტი ვაჟა ტრაპაიძე მიესალმა დამსწრე საზოგადოებას და აღნიშნა რომ გეგმიური მონიტორინგის ფარგლებში განსაზღვრული იყო 7 რეკომენდაცია, რომლებიც ძირითადად ეხებოდა პირველ და მე-2 სტანდარტებს. მისი თქმით, დაწესებულების მიერ ყველა რეკომენდაცია შესრულებულია. რიგი რეკომენდაციები ეხებოდა კონკრეტულ სასწავლო კურსებს თუ რა საგანი უნდა დამატებოდა, ასევე საუბარი იყო ორ სასწავლო კურსზე რომ მომხდარიყო მათი მოდიფიცირება და შინაარსობრივი მხარის გაუმჯობესება და კონკრეტულად მორგებოდა ამ საგნების მიზნებს და შედეგებს. ექსპერტის თქმით, იმ დოკუმენტებზე დაყრდნობით რაც მათ შესასწავლად გადაეცათ რეკომენდაციები სრულად არის შესრულებული.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს წარმოედგინათ მოსაზრებები.
დავით მახვილაძემ მადლობა გადაუხადა ექსპერტს შეფასებისთვის და აღნიშნა რომ ფაკულტეტი სულ მესამე წელია რაც არსებობს და აქვთ დიდი კონკურსი მისაღებ გამოცდებზე, რაც მის აქტუალობაზე მიუთითებს. რეკომენდაციები დაწესებულების მიერ კი სრულად შესრულებულია.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს დაეფიქსირებინათ საკუთარი მოსაზრებები.
საბჭოს წევრების მხრიდან შეკითხვები არ ყოფილა.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება
დაწყების დრო: 15:42 სთ
დასრულების დრო: 15:48 სთ

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა: სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის "ბუნებრივი საფრთხეები, მდგრადი გარემო და დაცვის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე დაწყებული ადმინისტრაციული წარმოების შეწყვეტის საკითხი.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 14
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება: „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, აკრედიტაციის დებულების 27^2 მუხლის პირველი პუნქტის, 31-ე

მუხლის 25 -ე პუნქტის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ „სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისი N233 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, შეწყდა სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის "ბუნებრივი საფრთხეები, მდგრადი გარემო და დაცვის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე დაწყებული ადმინისტრაციული წარმოება.

მეოთხე საკითხი: სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის "არქიტექტურის (ძირითადი სპეციალობა) საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე განხორციელებული არაგეგმიური მონიტორინგის შედეგების განხილვა;

ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ	
საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	არქიტექტურა (ძირითადი სპეციალობა)
ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	-
სტატუსი	აკრედიტებული
სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	09/12/2011 № 451
ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	-
უმაღლესი განათლების საფეხური	ბაკალავრიატი
დაშვების წინაპირობები	-
კვალიფიკაციის დონე	მე - 6
კვალიფიკაციის დასახელება	არქიტექტურის ბაკალავრი
ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	-
დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)	0731 - არქიტექტურა და ქალაქდაგეგმარება
სწავლების ენა	ქართული
ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	240
განხორციელების ადგილი	საქართველო, თბილისი, 0162, ქ. ჩოლოყაშვილის გამზირი
მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა - სწავლების უფლებამოსილება	-

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება
√ არა

საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება
√ დიახ

თვითაცილება განაცხადეს ირინე ებრალიძემ და მარინე მაისურაძემ.
თვითაცილების საფუძველს წარმოადგენდა შრომითი ურთიერთობა დაწესებულებასთან.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და საგანმანათლებლო პროგრამის ექსპერტთა დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.

საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ)ა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

მეოთხე საკითხის ზეპირი მოსმენა
ექსპერტების პოზიციის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტთა ჯგუფს წარმოედგინათ მათი პოზიცია.
ექსპერტი გიორგი წანაწყენიშვილი მიესალმა დამსწრე საზოგადოებას და აღნიშნა რომ ექსპერტთა ჯგუფი გაეცნო დაწესებულების არგუმენტირებულ პასუხს და 180 კრედიტთან მიმართებით გაცემული რეკომენდაცია დატოვეს, რაც დარგობრივი მახასიათებლით იყო განსაზღვრული. დანარჩენი რეკომენდაციები კი შესრულებულ იქნა დაწესებულების მიერ.
გოდერძი ბუჩაშვილმა დააზუსტა ექსპერტების მიერ წარმოდგენილია რეკომენდაცია კერძოდ, რეკომენდებულია პროგრამის ძირითადმა სწავლის სფერომ მოიცვას არქიტექტურის დარგობრივი მახასიათებლის მიერ განსაზღვრული კრედიტების რაოდენობა (არანაკლებ 180 ECTS კრედიტისა).

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულებბის წარმომადგენლებს წარმოედგინათ მოსაზრებები.
ნინო ჟვანია მიესალმა დამსწრე საზოგადოებას და მადლობა გადაუხადა ექსპერტებს. მისი თქმით დაწესებულება ეთანხმება გაცემულ რეკომენდაციას, მითუმეტეს მაშინ როდესაც ეს საკითხი დარგობრივ მახასიათებელშიც არის განსაზღვრული. აქვე დაამატა, რომ პროგრამა ეტაპობრივად გადადის 180 კრედიტზე, ჯერჯერობით მიმდინარე პროგრამა აქვთ 120 კრედიტიანი, თუმცა 2024 წელს როცა ამ პროგრამის აკრედიტაცია იქნება საჭირო პროგრამა გადავა 180 კრედიტზე, რაც დარგობრივი მახასიათებლით არის განსაზღვრული.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს დაეფიქსირებინათ საკუთარი მოსაზრებები.
გოდერძი ბუჩაშვილმა აღნიშნა რომ თვითშეფასების ანგარიშში აკადემიური პერსონალის ნაწილში არ არის წარმოდგენილი რამდენი აფილირებული პერსონალი ჰყავთ.
დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა რომ შესაძლოა ტექნიკური ხარვეზია, რადგან მათ დაურთეს ყველას პირადი საქმე და ის ველი რომელიც შესავსები იყო ანგარიშში შეავსეს.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება
დაწყების დრო: 15:53 სთ
დასრულების დრო: 16:03 სთ

საბჭომ მიიჩნია რომ ჩატარებული წარმოების ფარგლებში აღნიშნული საგანმანათლებლო პროგრამა შესაბამისობაშია ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსთან და სწავლის სფეროების კლასიფიკატორთან. მიუხედავად იმისა რომ შეფასების პროცესში, ექსპერტებმა დამატებით გამოკვეთეს დარგობრივ მახასიათებელთან შესაბამისობის თვალსაზრისით გარკვეული საკითხები, კერძოდ დარგობრივი მახასიათებლის მიხედვით სტუდენტს ენიჭება არქიტექტურის ბაკალავრის აკადემიური ხარისხი (Bachelor of Architecture(BArch); ამასთან,

მოპოვებული 240 ECTS კრედიტიდან ძირითად სწავლის სფეროზე გათვალისწინებულ უნდა იქნეს არანაკლებ 180 ECTS კრედიტისა.

საბჭომ მიიჩნია რომ აღნიშნულ საკითხებზე მუშაობა დაწესებულებამ უნდა გააგრძელოს და გადამოწმებულ იქნას დარგობრივ მახასიათებელთან შესაბამისობის დადგენის მიზნით განსახორციელებელი წარმოების ფარგლებში.
დამატებით აღსანიშნავია რომ ექსპერტების მიერ დარგობრივ მახასიათებელთან შესაბამისობის თვალსაზრისით, გამოკვეთილი საკითხების გათვალისწინება დაწესებულებისთვის მოითხოვს უფრო ხანგრძლივ, განგრძობით პროცესს, შესაბამისად არ იქნებოდა მიზანშეწონილი დაწესებულებისთვის ამ მიმართულებით სამუშაოდ 60 კალენდარული დღის განსაზღვრა. დაწესებულებას აქვს შესაძლებლობა, რომ შუალედური თვითშეფასების ანგარიშის (3 წლიანი) ფარგლებში ასახოს თვითშეფასებაში და წარმოადგინოს ცენტრში.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა: სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის "არქიტექტურის (ძირითადი სპეციალობა)" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე დაწყებული ადმინისტრაციული წარმოების შეწყვეტის საკითხი.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 14
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება: „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, აკრედიტაციის დებულების 27^2 მუხლის პირველი პუნქტის, 31-ე მუხლის 25 -ე პუნქტის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ „სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისი N233 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, შეწყდა სსიპ -ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის "არქიტექტურის (ძირითადი სპეციალობა)"საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე დაწყებული ადმინისტრაციული წარმოება.
მიჩნეულ იქნეს, რომ "არქიტექტურის (ძირითადი სპეციალობა)" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა შეესაბამება საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 10 აპრილის №69/ნ ბრძანებით დამტკიცებულ „ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსა“ და „სწავლის სფეროების კლასიფიკატორს“.

საბჭოს წევრთა მიერ გაზიარებულ იქნა შემდეგი რეკომენდაცია:
რეკომენდებულია პროგრამის ძირითადი სწავლის სფერომ მოიცვას არქიტექტურის დარგობრივი მახასიათებლის მიერ განსაზღვრული კრედიტების რაოდენობა (არანაკლებ 180 ECTS კრედიტისა).

მეხუთე საკითხი: სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის "დიპლომატია და საერთაშორისო პოლიტიკის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამასთან დაკავშირებით საბჭოს რეკომენდაციების შესრულების თაობაზე წარმოდგენილი ანგარიშის განხილვა;

№	ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	

		დიპლომატია და საერთაშორისო პოლიტიკა
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	-
3	სტატუსი	აკრედიტებული
4	სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	20/01/2022 № 45162
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	-
6	უმაღლესი განათლების საფეხური	მაგისტრატურა
7	დაშვების წინაპირობები	-
8	კვალიფიკაციის დონე	მე - 7
9	კვალიფიკაციის დასახელება	დიპლომატია და საერთაშორისო პოლიტიკის მაგისტრი
10	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	-
11	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)	0312 - პოლიტიკის მეცნიერებები და მოქალაქეობრიობის საფუძვლები
12	სწავლების ენა	ქართული
13	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	120
14	განხორციელების ადგილი	ჭავჭავაძის გამზ. No1, No6, თსუ-ს კორპუსები I, VI; თბილისი, 0179, საქართველო.
15	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა - სწავლების უფლებამოსილება	-

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება
√ არა
საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება
√ დიახ

თვითაცილება განაცხადეს მამუკა ხუსკივაძემ და ნინო ჭალაგანიძემ. თვითაცილების საფუძველს წარმოადგენდა შრომითი ურთიერთობა დაწესებულებასთან.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და საგანმანათლებლო პროგრამის ექსპერტთა დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.
საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ)ა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

მეხუთე საკითხის ზეპირი მოსმენა
ექსპერტების პოზიციის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტთა ჯგუფს წარმოედგინათ მათი პოზიცია.
ექსპერტი ირაკლი გორგილაძე მიესალმა დამსწრე საზოგადოებას აღნიშნა რომ წარმოდგენილი ანგარიშისა და დოკუმენტაციის მიხედვით ირკვევა, რომ საგანმანათლებლო პროგრამის მხარდამჭერმა კომიტეტმა განიხილა საბჭოს 2022 წლის 20 იანვრის გადაწყვეტილებით დაკისრებული რეკომენდაციების, მათ შორის რჩევების შესრულების გზების და ფორმების საკითხი. წარმოდგენილი დოკუმენტაციიდან ასევე ირკვევა, რომ საგანმანათლებლო პროგრამის მხარდამჭერმა კომიტეტმა შესაბამისი ფორმით მოამზადა სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრისთვის წარსადგენი ანგარიშის პროექტი.
უნივერსიტეტის მიერ წარმოდგენილი ანგარიშისა და შესაბამისი დოკუმენტაციის საფუძველზე შესაძლებელია დავასკვნათ: უნივერსიტეტმა განახორციელა რიგი ცვლილებები საბჭოს მიერ გაცემული რეკომენდაციებისა და რჩევების შესასრულებლად. ანგარიშისა და წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესწავლის შედეგად დგინდება, რომ საბჭოს რეკომენდაციები უნივერსიტეტის მიერ შესრულებულია. გაცემული იყო 6 რეკომენდაცია. 1,3,4,5 სტანდარტები შესაბამისია მოთხოვნებთან, რეკომენდაცია იკვეთებოდა მხოლოდ მე-2 სტანდარტთან დაკავშირებით, შესაბამისად წარმოდგენილი დოკუმენტაციის საფუძველზე დასტურდება რომ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ სრულად იქნა შესრულებული რეკომენდაციები.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს წარმოედგინათ მოსაზრებები.
დაწესებულების წარმომადგენელი, ფიქრია ასანიშვილი მიესალმა დამსწრე საზოგადოებას და აღნიშნა რომ მაქსიმალურად გაითვალისწინეს ყველა რეკომენდაცია რაც კი იყო წარმოდგენილი.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს დაეფიქსირებინათ საკუთარი მოსაზრებები.
საბჭოს წევრი, ერმილე მესხია მიესალმა დამსწრე საზოგადოებას დასვა ორი დამაზუსტებელი კითხვა. პირველი ეხებოდა მემორანდუმებს, რომელიც გაფორმებულია სხვადასხვა დაწესებულებასთან, კონკრეტულად მედიისა და კომუნიკაციის საგანმანათლებლო და კვლევით ცენტრთან 2017 წელს და მეორე შპს "სოციალშარკ"-თან იგივე პირობებით გაფორმებული 2017 წელს. საბჭოს წევრის თქმით, მემორანდუმში აღნიშნულია რომ წინამდებარე მემორანდუმი ძალაშია ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს 5 წლის ვადით მემორანდუმის გაგრძელება შესაძლებელია ურთიერთშეთანხმების საფუძველზე, თუმცა ინსტიტუციის მიერ წარმოდგენილ დოკუმენტებში ამ მემორანდუმების გაგრძელების დამადასტურებელი დოკუმენტი ვერ იპოვა.
მეორე კითხვა ეხებოდა სამაგისტრო ნაშრომის შეფასების კრიტერიუმებს, სადაც ჩაშლილია კომპონენტები, მაგრამ ვერ დაინახა კრიტერიუმების ჩაშლა. საბჭოს წევრი დაინტერესდა ფიქრობს თუ არა დაწესებულება რომ კრიტერიუმები ჩაშლილი უნდა იყოს.

ფიქრია ასანიშვილმა აღნიშნა რომ ამ კონკრეტული მემორანდუმის ფარგლებში მათ უნდა გააგრძელონ თანამშრომლობა, 2017 წელს მოწერეს ხელი, ახლა კი კვლავ აღდგენას აპირებენ.
რევაზ ჯორბენაძემ აღნიშნა რომ საკმაოდ რთულია სამაგისტრო ნაშრომის შეფასება და ამგვარი ჩაშლა აუცილებელი არ არის. შესაძლოა გაკეთდეს კიდეც, მაგრამ ამ შემთხვევაში საჭირო არ არის.
დაწესებულების წარმომადგენელმა დაამატა, რომ ყველა სილაბუსში კრიტერიუმები ჩაშლილია, რას შეეხება სამაგისტრო ნაშრომს, მისი დაცვის წესი ფაკულტეტის საერთო წესითაა მიღებული, რომელიც ფაკულტეტის ვებ-გვერდზე დევს, მაგრამ ჩაშლილი არ არის, თუმცა აღწერილია რაში იღებს სტუდენტი 5 ქულას, 10 ქულას და ა.შ
სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება
დაწყების დრო: 16:22 სთ

დასრულების დრო: 16:29 სთ

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა: სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის "დიპლომატია და საერთაშორისო პოლიტიკის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი ანგარიშის ცნობად მიღების საკითხი.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 14
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება: აკრედიტაციის დებულების 27^6 მუხლის მე - 2 პუნქტისა და 2^{11} პუნქტის საფუძველზე ცნობად იქნეს მიღებულისსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის "დიპლომატია და საერთაშორისო პოლიტიკის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამასთან დაკავშირებით საბჭოს ანგარიში.

მეექვსე საკითხი: სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის "გენდერის კვლევის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამასთან დაკავშირებით საბჭოს რეკომენდაციების შესრულების თაობაზე წარმოდგენილი ანგარიშის განხილვა;

№	**ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ**	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	გენდერის კვლევა
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	-
3	სტატუსი	აკრედიტებული
4	სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	17/01/2022 № 32541
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	-
6	უმაღლესი განათლების საფეხური	მაგისტრატურა
7	დაშვების წინაპირობები	-
8	კვალიფიკაციის დონე	მე - 7
9	კვალიფიკაციის დასახელება	გენდერის კვლევის მაგისტრი
10	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	-
11	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)	სოციოლოგია და კულტურის კვლევები - 0314
12	სწავლების ენა	ქართული
13	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	120
14	განხორციელების ადგილი	ჭავჭავაძის გამზ. No3, თსუ-ს კორპუსი მე-2; თბილისი, 0179, საქართველო.
15	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა - სწავლების უფლებამოსილება	-

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება
√ არა

საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება
√ დიახ
თვითაცილება განაცხადა მამუკა ხუსკვივძაემ და ნინო ჭალაგანიძემ. თვითაცილების საფუძველს წარმოადგენდა შრომითი ურთიერთობა დაწესებულებასთან.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და საგანმანათლებლო პროგრამის ექსპერტთა დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.
საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ)ა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

მეექვსე საკითხის ზეპირი მოსმენა
ექსპერტების პოზიციის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტთა ჯგუფს წარმოედგინათ მათი პოზიცია.
ექსპერტი მიესალმა დამსწრე საზოგადოებას აღნიშნა რომ საბჭომ გადაწყვეტილება მიიღო 2022 წლის 17 იანვარს, რომლის საფუძველზეც პროგრამას მიენიჭა 7 წლის ვადით აკრედიტაცია, თუმცა 1 წლის თავზე უნდა წარედგინა ანგარში რეკომენდაციების შესრულების შესახებ. სულ გაცემული იყო 3 რეკომენდაცია. პირველი ეხებოდა 1.2 ქვეკომპონენტს, კერძოდ, გადაიხედოს პროგრამის მე-6 სწავლის შედეგი და მოხდეს რეფორმულირება მისი მიღწევადობის და გაზომვადობის/შეფასების უზრუნველსაყოფად, ექსპერტის თქმით, ეს რეკომენდაცია სრულად გათვალისწინებულია. მე-2 რეკომენდაცია ეხებოდა 2.2 ქვეკომპონენტს, კერძოდ, პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით გადაიხედოს რიგი სასწავლო კურსების შინაარსი და შეივსოს გენდერულ კვლევებთან დაკავშირებული საკითხებით, ექსპერტის განმარტებით ეს რეკომენდაციაც შესრულებულია. მე-3 რეკომენდაციის მიხედვით, რეკომენდებულია გადაიხედოს რიგ სასწავლო კურსებში სწავლება-სწავლის მეთოდები და შეფასების კომპონენტები, დაკორექტირდეს კურსის სპეციფიკის გათვალისწინებთ. უნივერსიტეტის მიერ წარმოდგენილი ანგარიშის, ასევე კურსების სილაბუსების თანახმად აღნიშნული რეკომენდაცია შესრულებულია იმ კურსებში, რომლებიც თავის დროზე მოინიშნა როგორც პრობლემური და შესაბამისად ჩასწორებულია. ასევე შენიშვნა იყო შეფასების კრიტერიუმთან დაკავშირებით, რომელიც გულისხმობდა დასწრების კომპონენტს, რაც არა მხოლოდ ამ პროგრამასთან მიმართებით, არამედ ზოგადად არის შეცვლილი საქართველოს განათლების და მეცნიერების მინისტრის მე-3 ბრძანების თანახმად. ამავდროულად გათვალისწინებულია რჩევები, გამრავალფეროვნდა კურიკულუმი და დაემატა კვლევები, ასევე არჩევითი საგანი.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს წარმოედგინათ მოსაზრებები.
დაწესებულების წარმომადგენელი მიესალმა დამსწრე საზოგადოებას, მადლობა გადაუხადა ექსპერტს გაწეული სამუშაოსათვის. მისი თქმით, გათვალისწინებულია ყველა მოცემული რეკომენდაცია და რჩევა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს დაეფიქსირებინათ საკუთარი მოსაზრებები.
საბჭოს წევრების მხრიდან შეკითხვები არ ყოფილა.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება
დაწყების დრო: 16:36 სთ
დასრულების დრო: 16:39 სთ

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა: სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის "გენდერის კვლევის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამასთან დაკავშირებით საბჭოს რეკომენდაციების შესრულების თაობაზე წარმოდგენილი ანგარიშის ცნობად მიღების საკითხი.
კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 15
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება: აკრედიტაციის დებულების 27^6 მუხლის მე - 2 პუნქტისა და 2^{11} პუნქტის საფუძველზე ცნობად იქნეს მიღებულისსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის "გენდერის კვლევის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამასთან დაკავშირებით საბჭოს ანგარიში.

მეშვიდე საკითხი: შპს ქართულ-ამერიკული უნივერსიტეტის "მედიაპროდუქციისა და ვიზუალური მეთოდები დიზაინში" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამასთან დაკავშირებით საბჭოს რეკომენდაციების შესრულების თაობაზე ანგარიშის განხილვა.

№	ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	მედია პროდუქცია და ვიზუალური მეთოდები დიზაინში
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	-
3	სტატუსი	აკრედიტებული
4	სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	23/08/2022 № 936247
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	-
6	უმაღლესი განათლების საფეხური	ბაკალავრიატი
7	დაშვების წინაპირობები	-
8	კვალიფიკაციის დონე	მე -
9	კვალიფიკაციის დასახელება	მედიახელოვნების ბაკალავრი
10	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	-
11	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)	0211 აუდიოვიზუალური მეთოდები და მედიაპროდუქცია/წარმოება
12	სწავლების ენა	ქართული
13	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	240

14	განხორციელების ადგილი	მერაბ ალექსიძის №10, ქ. თბილისი, 0160, საქართველო
15	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა - სწავლების უფლებამოსილება	-

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება
√ არა

საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება
√ დიახ
თვითაცილება განაცხადა გურანდა ჭელიძემ.
თვითაცილების საფუძველს წარმოადგენდა შრომითი ურთიერთობა დაწესებულებასთან.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და საგანმანათლებლო პროგრამის ექსპერტთა დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.
საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ)ა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

მეშვიდე საკითხის ზეპირი მოსმენა
ექსპერტების პოზიციის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტთა ჯგუფს წარმოედგინათ მათი პოზიცია.
ექსპერტი მარინე ხიზანიშვილი მიესალმა დამსწრე საზოგადოებას და აღნიშნა რომ პროგრამას 2022 წლის 22 თებერვალს მიენიჭა აკრედიტაცია, 6 თვის თავზე ანგარიშის წარმოდგენის ვალდებულებით. პროგრამას 8 რეკომენდაცია განესაზღვრა შესასრულებლად. 8 რეკომენდაციიდან სრულად გათვალისწინებულია ხუთი, ერთი ნაწილობრივ, ერთი სხვა ფორმით და ერთი არ არის გათვალისწინებული.
ექსპერტის თქმით, რეკომენდაცია, რომელიც ნაწილობრივ არის გათვალისწინებული ეხება 2.3 ქვესტანდარტს, სადაც აღწერილობით ნაწილში დეტალებშია განმარტებული რამდენიმე სილაბუსში შესატანი ცვლილებების საჭიროება. უმეტესობა გათვალისწინებულია, მაგრამ აღსანიშნავია ორი დეტალი: პირველი - ერთ-ერთ სილაბუსში იყო მითითება რომ ერთ-ერთი სავალდებულო ლიტერატურა, რომელიც იყო 2007 წლის გამოცემა რაც შეტანილი იყო სილაბუსში, არსებობს უფრო ახალი 2015 წლის გამოცემა, რაც უნდა ჩანაცვლებულიყო, თუმცა ეს არ არის გათვალისწინებული. აღწერილობით ნაწილში ასევე მითითება იყო ერთ-ერთ კურსზე ვებ დიზაინის საფუძვლებთან მიმართებით, შემდეგი რეკომენდაციის თანახმად, აუცილებელია ორი სასწავლო კურსი სავალდებულო და არჩევითი გაერთიანდეს და წარმოდგენილ იქნეს, როგორც ერთი სასწავლო კურსი - ვებ დიზაინის გრაფიკული საფუძვლები, რადგან თანაკვეთა იყო მიზნებში. ვებ დიზაინის საფუძვლებში სილაბუსში წარმოდგენილი იყო ფართოდ გავრცელებული პროგრამის soft-ის ბაზაზე შესასწავლი საკითხები იმ დროს, როცა ეს soft უკვე ცალკე შესავალ კურსშიც იკითხებოდა, ამიტომ რეკომენდაციას ჰქონდა შემდეგი სახე: გაერთიანებულიყო “ვებ დიზაინის საფუძვლები” და არჩევითი სასწავლო კურსის - “მომხმარებლის ინტერფეისის დიზაინი UX/UI” და სავალდებულო კურსად შეეთავაზებინათ. ამ ნაწილში რეკომენდაციას არ დაეთანხმა დაწესებულება, მაგრამ მეორე კურსის სილაბუსში მცირე ცვლილებები მაინც შეიტანეს და

უფრო ფართო გახადეს. შესაბამისად ექსპერტი თვლის, რომ ნაწილობრივ რეკომენდაცია გათვალისწინებულია.

მე-8 რეკომენდაციასთან, კერძოდ ბიუჯეტთან დაკავშირებით ექსპერტმა აღნიშნა რომ დამოუკიდებელი პროგრამული ბიუჯეტი არ არსებობდა და სკოლის ბიუჯეტის ფარგლებში იყო გათვალისწინებული პროგრამის ბიუჯეტი. ექსპერტების და საბჭოს რეკომენდაცია იყო პროგრამის საჭიროებებისა და სპეციფიკის გათვალისწინებით შემუშავებულიყო ფინანსური რესურსების გადანაწილების დოკუმენტი - დამოუკიდებელი პროგრამული ბიუჯეტი, მაგრამ დაწესებულებამ თავის არგუმენტირებულ პასუხში განმარტა რომ რადგანაც აკადემიური პერსონალი ჩართულია სხვა პროგრამებში ამ სკოლის ფარგლებში, არ ხერხდება ცალკე ბიუჯეტად გამოტანა, თუმცა ყველაზე მნიშვნელოვანია რომ ამ პროგრამას სჭირდება აპარატურული და პროგრამული უზრუნველყოფის ხარჯი და ეს უნდა ყოფილიყო განსაკუთრებით გათვალისწინებული. ჯგუფმა ეს კატეგორია ცალკე გაწერა ბიუჯეტში და ამით გარკვეულწილად დააკმაყოფილა მოთხოვნა. შემდეგი რეკომენდაცია რომელიც არ შეასრულა დაწესებულებამ და თვითშეფასებაშიც აქვთ მითითებული ეხებოდა 2.6 ქვესტანდარტს, კერძოდ რეკომენდებულია, სასწავლო კურსების შეფასების სქემა წარმოდგენილ იქნას საგნის სპეციფიკიდან გამომდინარე.
დაწესებულებამ თანდართულ დოკუმენტებში წარმოადგინა ამონარიდი „სავალდებულო სასწავლო კურსების შეფასების სქემის “, საინადაც ჩანს, რომ სასწავლო კურსების უმეტესობაში (თუმცა, ეთანხმება, რომ ყველაში არა) ტრიალებს ორი სტანდარტული შეფასების სქემა მაგალითად პრეზენტაცია 20 ქულა და შუალედური გამოცდა, ასევე 20 ქულა პრეზენტაცია დამატებით შუალედური გამოცდა და დასკვნითი თავისთავად. აღინიშნა რომ ეს სქემა ბევრგან ფიგურირებს, რომელიც შეიძლება საგნის სპეციფიკას ხშირ შემთხვევაში არ ერგებოდეს.
გოდერძი ბუჩაშვილმა გააჟღერა კითხვა მე-3 რეკომენდაციასთან დაკავშირებით, სადაც მითითებულია რომ ნაწილობრივ შესრულდა, მაგრამ შინაარს თუ წავიკითხავთ დაწესებულებას აქვს გათვალისწინებული ცალკეულ სილაბუსებში ეს რეკომენდაცია.
ექსპერტმა აღნიშნა, რომ მეტწილად შესრულდა ტერმინი უფრო ადეკვატური იქნებოდა ამ შემთხვევაში.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს წარმოედგინათ მოსაზრებები.
დაწესებულების წარმომადგენელი მიესალმა დამსწრე საზოგადოებას მადლობა გადაუხადა ექსპერტს გაწეული შრომისათვის. აღნიშნა რომ არსებობს რამდენიმე ტექნიკური შეცდომა, რომელმაც ხელი შეუშალა მე-3 რეკომენდაციას. პირველი ეხებოდა სახელმძღვანელოს 2007 წლის გამოცემას, რომელიც არ შეიცვალა 2015 წლის გამოცემით. მისი თქმით, სიტყვა გასაახლებელია გაიგეს არასწორად, აქვე დაამატა რომ მათ მიერ გადაიხედა 2015 წლის სახელმძღვანელო და მხოლოდ გამოცემაა შეცვლილი და არა შინაარსი.
რაც შეეხება რეკომენდაციას წინაპირობასთან დაკავშირებით, დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა რომ ტექნიკური შეცდომა იყო, რაც დასკვნაში არ იყო აღნიშნული. სასწავლო გეგმის წინაპირობაში არაფერი დაუმატებიათ.
რაც შეეხება სასწავლო კურსების გაერთიანებას მან აღნიშნა რომ ორივე სავალდებულო სასწავლო კურსი არ არის, ერთი სავალდებულოა და ერთი არჩევითი, ამიტომ მოხდა მიზანთან გამიჯვნა, დაკონკრეტება. მისი თქმით, ის მნიშვნელოვანი საკითხები რასაც ექსპერტები ხაზს უსვამენ ნამდვილად გათვალისწინებულია. რაც შეეხება შეფასებას, აქაც ეთანხმება დაწესებულება ექსპერტს მაგრამ, მაგალითად, წარმოადგინა სამ სასწავლო კურსი, სადაც ორი 20 ქულიანი პრეზენტაციაა წარმოდგენილი, შუალედური და დასკვნითი გამოცდა, მაგრამ გვერდზე აქვს განმარტება მაგალითად "სარეკლამო დიზაინის საფუძვლები", სადაც მითითებულია საფირმო სტილი, ელემენტების გრაფიკული დიზაინის პრეზენტაცია. რაც შეეხება მეორე სასწავლო კურს სადაც ასევე ორი 20 ქულიანი პრეზენტაციაა, პრეზენტაციის

დავალებები აქაც შეცვლილია და სტილიზირებული ფიგურების ორგანზომილებიანი კომპოზიციის გამოხატვაა.
მირიან ყენია მიესალმა დამსწრე საზოგადოებას და ისაუბრა საგნების გაერთიანებასთან დაკავშირებით. მან აღნიშნა რომ "გამოსახულების საფუძვლები" სრულიად სხვა საგანია, და შეიძლება გამოყენებული იქნეს როგორც ვებ დიზაინში ასევე ვიდეოში, პრინტში და ნებისმიერ სხვა მულტიმედიურ პროდუქტში. რაც შეეხება ვებ - დიზაინის გრაფიკულ საფუძვლებს, აქ ამ soft-ის გამოყენებით ისწავლება წერტილოვნად კონკრეტულად ფოკუსირებულად ვებ დიზაინის მიმართულებით, ვინაიდან წლების მანძილზე ამ პროგრამაში კეთდებოდა ეს, რაც აბსოლუტურად სხვა ინსტრუმენტალია. გარდა ამისა სხვა ბევრ თეორიულ საწყისებს სწავლობენ, მაგალითად შრიფტებთან ურთიერთობას, ფერების შერჩევას, სხვადასხვა ინსტრუმენტალს და ა.შ. რაც შეეხება ამ საგნის მეორე ნაწილს იყენებენ XD-ის, რომლის მეშვეობითაც კეთდება კლასიკური თანამედროვე ინტერფეისები, რადგან უნდათ რომ ადამიანს შეეძლოს ამ პროდუქტის ხარისხიანი შექმნა, აუცილებელია ზემოაღნიშნული სწავლება. შესაბამისად, მათი გაერთიანება ფიზიკურად ვერ მოხდება. რაც შეეხება შეფასების სისტემას მან აღნიშნა რომ ბევრი საერთო აქვთ, რადგან ბევრგან სწავლობენ კომპიუტერულ პროგრამებს, ტექნიკურ უნარებზეა ყურადღება გამახვილებული, აქედან გამომდინარე ბევრი შეფასება ჰგავს ერთმანეთს რაც მისი სპეციფიკიდან გამომდინარეობს. თუ ამ მიმართულებით რამე თანხვედრა არის, ეს არის გამიზნულად, რადგან სხვანაირად შეუძლებელია.
ნინა კარბელაშვილი მიესალმა დამსწრე საზოგადოებას აღნიშნა რომ თავად ამ პროგრამის შედგენაში კომისიის წევრი და კონსულტანტია. მისი თქმით, მოცემული შენიშვნა დაფუძნებულია ტექნიკურ ხარვეზზე, პირველი ეხებოდა 2015 წლის სახელმძღვანელოს, სადაც არასწორად იყო აკრეფილი სიტყვა, რომელზეც ასევე პასუხი გასცეს რომ ბუნდოვნად იყო მათთვის ამ წლების შესახებ მსჯელობა. გადაამოწმეს ბიბლიოთეკაში და დატოვეს 2007 წლის გამოცემა, რადგან შინაარსობრივად იგივეა. აქვე აღნიშნა რომ არჩევით კურსად არის მოხსენიებული დიზაინი, რაც ასევე ტექნიკური შეცდომაა. რაც შეეხება შეფასების სისტემას მისი თქმით, ქულათა ჯამები ხშირად მეორდება, მაგრამ იგივე 20 ქულა შეიძლება შედგებოდეს 4 დავალებისგან, რაც ჩაშლილია კრიტერიუმებში. მაგალითად თითოს შეფასება არის 5 ქულა. მრავლად აქვთ განსაკუთრებით თეორიული საგნები, სადაც წერითი გამოცდებია და კიდევ უფრო დეტალურად არის შეფასებული. ამავდროულად აქვთ სხვა ტიპის საგნები, სადაც პრეზენტაციაში ოთხი ფოტოს კომპოზიცია ფასდება, თითოეული კომპოზიცია უკვე ჯამს წარმოადგენს.
დაწესებულების წარმომადგენელმა დაამატა რომ ეს პროგრამა მომავალ კვირას გააქვთ ხელახალ აკრედიტაციაზე, რადგან აგვისტოში აკრედიტაცია მიიღეს კლასტერის ვადით, კლასტერი ვადა მიმდინარე წელია. შესაბამისად მაქსიმალურად ეცადნენ ყველაფერი გათვალისწინებული ყოფილიყო.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს დაეფიქსირებინათ საკუთარი მოსაზრებები.
ქეთევან ქუთათელაძე მიესალმა დამსწრე საზოგადოებას და კითხვით მიმართა ექსპერტს შეფასების სქემასთან დაკავშირებით. ის დაინტერესდა ითვლება თუ არა რომ ამ შეფასების სქემით კონკრეტული სასწავლო კურსის სწავლის შედეგების მიღწევა ვერ მოწმდება.
ექსპერტმა აღნიშნა რომ ერთ-ერთი სქემა, რომელიც ხშირად მეორდება და შინაარსი პრეზენტაციისა სხვადასხვა იქნება სხვადასხვა კურსის ფარგლებში, თუმცა ექსპერტებმა ჩათვალეს რომ თვითონ სქემა ბევრ შემთხვევაში ხელოვნურად იყო მორგებული, სტანდარტული სქემის შთაბეჭდილებას ტოვებდა, რომელიც ბევრ კურსზე იყო მორგებული.
ქეთი ბიბილაშვილი მიესალმა დამსწრე საზოგადოებას და აღნიშნა, რომ მას აქვს ჩაშლილი 20-20 ქულა. არის ზოგ შემთხვევაში 4 კომპოზიცია რომელიც ფასდება 5-5 ქულით, კონკრეტულად აქვს ჩაშლილი როგორ და რა კრიტერიუმებით აფასებს.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება

დაწყების დრო: 17:10 სთ
დასრულების დრო: 17:18 სთ

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა: შპს ქართულ-ამერიკული უნივერსიტეტი "მედიაპროდუქციისა და ვიზუალური მეთოდები დიზაინში" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამასთან დაკავშირებით საბჭოს რეკომენდაციების შესრულების თაობაზე წარმოდგენილი ანგარიშის ცნობად მიღების საკითხი.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 16
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება: აკრედიტაციის დებულების 27^{6} მუხლის მე - 2 პუნქტისა და 2^{11} პუნქტის საფუძველზე ცნობად იქნეს მიღებულიშპს ქართულ-ამერიკული უნივერსიტეტი "მედიაპროდუქციისა და ვიზუალური მეთოდები დიზაინში" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამასთან დაკავშირებით საბჭოს რეკომენდაციების შესრულების თაობაზე ანგარიში.

დღის წესრიგით განსაზღვრული ყველა საკითხის განხილვის შემდეგ, საბჭოს სხდომა დასრულებულად გამოცხადდა 17:19 სთ-ზე.

უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების
აკრედიტაციის საბჭო
საბჭოს მდივანი
რატიანი რატი



საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის
საბჭო
საბჭოს თავმჯდომარე
ბუჩაშვილი გოდერძი